MES 9 21 0001233651

16/11/2021

საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის საბჭოს
სხდომის ოქმი

ქ. თბილისი
სხდომის თარიღი: 02.11.2021
სხდომის დაწყების დრო: 15:18 სთ
სხდომის დასრულების დრო: 19:43სთ
საბჭოს თავმჯდომარე: ნათია ზედგინიძე-ჯიშკარიანი
საბჭოს მდივანი: მარიამ შენგელია;

საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2011 წლის 4 მაისის №65/ნ ბრძანებით დამტკიცებული „ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებებისა და უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებების საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის დებულების" (შემდეგში-აკრედიტაციის დებულება) 33-ე მუხლის პირველი პუნქტის საფუძველზე საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის საბჭოს სხდომა ჩატარდა დისტანციურად, კომუნიკაციის თანამედროვე ელექტრონული საშუალებების, პროგრამა - Zoom-ის გამოყენებით.
საბჭოს სხდომაში მონაწილე ყველა პირმა თანხმობა განაცხადა, რომ დისტანციური ფორმით მიეღო მონაწილეობა საბჭოს მუშაობის პროცესში.

საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის (შემდგომში საბჭო) სხდომაზე დამსწრე წევრები:

1. **ნათია ზედგინიძე-ჯიშკარიანი -** სსიპ ქუთაისის საერთაშორისო უნივერსიტეტის მენეჯმენტის სკოლის ხელმძღვანელი - საბჭოს თავმჯდომარე;
2. **ნინო იმნაძე -** სსიპ - საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის არქიტექტურის, ურბანისტიკის და დიზაინის ფაკულტეტის დეკანი, ამავე ფაკულტეტის შენობა-ნაგებობის არქიტექტურის მიმართულების სრული პროფესორი - საბჭოს თავმჯდომარის მოადგილე;
3. **მარიამ შენგელია -** სსიპ - ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის დოქტორანტი - საბჭოს მდივანი;
4. **ნინო ჭალაგანიძე** - შპს "კავკასიის საერთაშორისო უნივერსიტეტის" მულტიმედია ცენტრის ხელმძღვანელი, სსიპ - ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ასოცირებული პროფესორი;
5. **გაიოზ ფარცხალაძე -** სსიპ - ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტის ტექნოლოგიური ფაკულტეტის დეკანი, პროფესორი;
6. **ელიზბარ ელიზბარაშვილი -** ა(ა)იპ - საქართველოს აგრარული უნივერსიტეტის საერთო-საუნივერსიტეტო ლაბორატორიული ცენტრის დირექტორი, პროფესორი;
7. **ნიკა თიკანაშვილი -** ა(ა)იპ - საქართველოს სტუდენტური ორგანიზაციების ასოციაციის საერთაშორისო ურთიერთობების ხელმძღვანელი, შპს "საქართველოს საავიაციო უნივერსიტეტის" საინჟინრო ფაკულტეტის დეკანი, ასოცირებული პროფესორი;

8. **გიორგი ღაღანიძე -** სსიპ - ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ეკონომიკისა და ბიზნესის ფაკულტეტის დეკანი, პროფესორი;
9. **დავით კაპანაძე -** სსიპ - საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის საგამოცდო ცენტრის უფროსი, პროფესორი;
10. **დიანა მჭედლიშვილი -** შპს "კავკასიის უნივერსიტეტის" ხარისხის უზრუნველყოფის დეპარტამენტის დირექტორი;
11. **ეკატერინე ნაცვლიშვილი -** შპს "ევროპის უნივერსიტეტის" ასოცირებული პროფესორი;
12. **თეონა მატარაძე** - სსიპ - ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის სოციალურ და პოლიტიკურ მეცნიერებათა ფაკულტეტის დეკანის მოადგილე, ასოცირებული პროფესორი;
13. **მაკა კაჭარავა** - სსიპ - სოხუმის სახელმწიფო უნივერსიტეტის ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსი, ასოცირებული პროფესორი;
14. **ნინო ინასარიძე** - "CNFA საქართველოს" გარემოს დაცვის მენეჯერი.

სხდომაზე დამსწრე პირები

სსიპ - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის (შემდგომში - ცენტრი) წარმომადგენლები

N	სახელი, გვარი	სტატუსი
1	ქეთევან თელია	უმაღლესი განათლების ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსი სპეციალისტი
2	ლალი ოდიშვილი	უმაღლესი განათლების ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის კოორდინატორი
3	სოფიკო ქურასბედიანი	უმაღლესი განათლების ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსი სპეციალისტი

საგანმანათლებლო დაწესებულების წარმომადგენლები

N	სახელი, გვარი	საგანმანათლებლოდაწესებულებისდასახელება	სტატუსი	საკითხი
1.	თეიმურაზ ქორიძე	შპს საქართველოს დავით აღმაშენებლის სახელობის უნივერსიტეტი	რექტორი	I-II
2.	თამარ ტუფინაშვილი		ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსი, პროფესორი	I-II
3.	მაია ჭანია		სოციალურ და ჰუმანიტარულ მეცნიერებათა სკოლის დეკანი, ასოც. პროფესორი	I-II
4.	მაკა დოლიძე		ჟურნალისტიკის საბაკალავრო და სამაგისტრო პროგრამების ხელმძღვანელი - ასოც. პროფესორი	I-II
5.	ჟანეტა კილასონია		სდასუ - TV - ს დირექტორი	
6.	გიგლა გობეჩია		პროფესორი	I-II
7.	დავით მახვილაძე	სსიპ - საქართველოს ტექნიკური		III-IV

		უნივერსიტეტი	სტუ-ის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის ხელმძღვანელი	
8.	ხათუნა მხეიძე,		სტუ-ის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის ხელმძღვანელის მოადგილე	III-IV
9.	ირაკლი გაბისონია,		სტუ-ის სამართლისა და საერთაშორისო ურთიერთობების ფაკულტეტის დეკანი	
10.	მარიამ ჯიქია		სტუ-ის სამართლისა და საერთაშორისო ურთიერთობების ფაკულტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის ხელმძღვანელი	III
11.	თამარ კიკნაძე		საერთაშორისო ურთიერთობების დეპარტამენტის უფროსი	III
12.	გიორგი ჩხიკვიშვილი		ბაკალავრიატის საგანმანათლებლო პროგრამის „საერთაშორისო ურთიერთობები“ ხელმძღვანელები	III
13.	ემილია ალავერდოვი			
14.	ნანული დანელია		ავტორიზაციისა და აკრედიტაციის განყოფილების უფროსი	III-IV
15.	თამარ ლომინაძე		სტუ-ის ინფორმატიკისა და მართვის სისტემების ფაკულტეტის დეკანი	IV
16.	ქეთევან კოტეტიშვილი		სტუ-ის ინფორმატიკისა და მართვის სისტემების ფაკულტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის ხელმძღვანელი	IV
17.	ლევან ჩხარტიშვილი		დოქტორანტურის საგანმანათლებლო პროგრამის „საინჟინრო ფიზიკა“ ხელმძღვანელი	IV

აკრედიტაციის ექსპერტები

N	სახელი, გვარი	ინფორმაციაელექტრონულისაშუალებითმონაწილეობისშესახებ	საკითხი
1	ნინო შოშიტაშვილი	(ჩაერთო „ზუმით“)	I-II
2	ხათუნა კაჭარავა	(ჩაერთო „ზუმით“)	I-II
3	ილია ბოცვაძე	(ჩაერთო „ზუმით“)	I-II

4	სოსო გაზდელიანი	(ჩაერთო „ზუმით“)	I-II
5	ივანნა მაჩიტიძე	(ჩაერთო „ზუმით“)	III
6	ირაკლი მანველიძე	(ჩაერთო „ზუმით“)	III
7	თამარ ხატისაშვილი	(ჩაერთო „ზუმით“)	III
8	ავთანდილ თავხელიძე	(ჩაერთო „ზუმით“)	III

აკრედიტაციის დებულების 27^2-ე მუხლის მე-4 პუნქტის საფუძველზე, სხდომას უხელმძღვანელა საბჭოს თავმჯდომარემ ნათია ზედგინიძე-ჯიშკარიანმა.

საბჭოს თავმჯდომარემ შეამოწმა სხდომაზე დამსწრე საბჭოს წევრთა რაოდენობა და დაადგინა, რომ აკრედიტაციის დებულების 27^2-ე მუხლის მე-5 პუნქტის შესაბამისად, სხდომა უფლებამოსილია, რადგან მას ესწრება საბჭოს წევრების სიითი შემადგენლობის ნახევარზე მეტი. თავჯდომარემ საბჭოს წევრებს მიუთითა აკრედიტაციის დებულების 27^5-ე მუხლის მე-4 პუნქტის მოთხოვნაზე, რომლის მიხედვითაც, საბჭოს წევრი არ არის უფლებამოსილი, თავი შეიკავოს ხმის მიცემისგან.
საბჭოს სხდომა დაიწყო: 15:18 საათზე.
საბჭოს თავმჯდომარემ საბჭოს წევრებს გააცნო დღის წესრიგის პროექტი:

1. შპს საქართველოს დავით აღმაშენებლის სახელობის უნივერსიტეტის "ჟურნალისტიკის" საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამის აკრედიტაციის საკითხების განხილვა;
2. შპს საქართველოს დავით აღმაშენებლის სახელობის უნივერსიტეტის "ჟურნალისტიკის" სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამის აკრედიტაციის საკითხის განხილვა;
3. სსიპ - საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის „საერთაშორისო ურთიერთობების“ საბაკალვრო საგანმანათლებლო პროგრამის აკრედიტაციის საკითხის განხილვა;
4. სსიპ - საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის "საინჟინრო ფიზიკის" სადოქტორო საგანმანათლებლო პროგრამაზე წარმოდგენილი ანგარიშის განხილვა.

შუამდგომლობა დღის წესრიგის ცვლილებასთან დაკავშირებით
· არა
დამტკიცებული დღის წესრიგი:

1. შპს საქართველოს დავით აღმაშენებლის სახელობის უნივერსიტეტის "ჟურნალისტიკის" საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამის აკრედიტაციის საკითხების განხილვა;
2. შპს საქართველოს დავით აღმაშენებლის სახელობის უნივერსიტეტის "ჟურნალისტიკის" სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამის აკრედიტაციის საკითხის განხილვა;
3. სსიპ - საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის „საერთაშორისო ურთიერთობების“ საბაკალვრო საგანმანათლებლო პროგრამის აკრედიტაციის საკითხის განხილვა;
4. სსიპ - საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის "საინჟინრო ფიზიკის" სადოქტორო საგანმანათლებლო პროგრამაზე წარმოდგენილი ანგარიშის განხილვა.

1. პირველი საკითხი: შპს საქართველოს დავით აღმაშენებლის სახელობის უნივერსიტეტის "ჟურნალისტიკის"საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამის აკრედიტაციის საკითხების განხილვა;

№	**ინფორმაცია საგანმანათლებლო პროგრამის შესახებ**	
1		ჟურნალისტიკა

	საგანმანათლებლო პროგრამის დასახელება	
2	ერთობლივი უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამა	-
3	სტატუსი	აკრედიტებული
4	სტატუსის გათვალისწინებით, საბჭო(ებ)ს გადაწყვეტილების თარიღი და ნომერი	საგანმანათლებლო პროგრამის საბჭოს 2011წლის 02 დეკემბრის გადაწყვეტილება N400
5	ხელახალი აკრედიტაციის შემთხვევაში საგანმანათლებლო პროგრამის წინა დასახელება	ჟურნალისტიკა
6	უმაღლესი განათლების საფეხური	ბაკალავრიატი
7	დაშვების წინაპირობები	-
8	კვალიფიკაციის დონე	მეექვსე
9	კვალიფიკაციის დასახელება	ჟურნალისტიკის ბაკალავრი
10	ზოგადი განათლების შესაბამისი საფეხურის საგნის/საგნების/საგნობრივი ჯგუფის სწავლების უფლების მითითებით	-
11	დეტალური სფეროს დასახელება და კოდი (ISCED – F – 2013)	ჟურნალისტიკა და რეპორტირება 0321
12	სწავლების ენა	ქართული
13	ECTS კრედიტების ჯამური რაოდენობა	240
14	განხორციელების ადგილი	ი.ჭავჭავაძის გამზ. N25, თბილის, 0179, საქართველო
15	მსჯავრდებულ აბიტურიენტთა საგანმანათლებლო პროგრამაზე სწავლა-სწავლების უფლებამოსილება	-

2. მეორე საკითხი: შპს საქართველოს დავით აღმაშენებლის სახელობის უნივერსიტეტის "ჟურნალისტიკის" სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამის აკრედიტაციის საკითხის განხილვა;

№	**ინფორმაცია საგანმანათლებლო პროგრამის შესახებ**	
1	საგანმანათლებლო პროგრამის დასახელება	ჟურნალისტიკა
2	ერთობლივი უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამა	-
3	სტატუსი	აკრედიტებული
4	სტატუსის გათვალისწინებით, საბჭო(ებ)ს გადაწყვეტილების თარიღი და ნომერი	საგანმანათლებლო პროგრამის საბჭოს 2011 წლის 02 დეკემბრის გადაწყვეტილება N401
5	ხელახალი აკრედიტაციის შემთხვევაში საგანმანათლებლო პროგრამის წინა დასახელება	ჟურნალისტიკა
6	უმაღლესი განათლების საფეხური	მაგისტრატურა
7	დაშვების წინაპირობები	-

8	კვალიფიკაციის დონე	მეშვიდე
9	კვალიფიკაციის დასახელება	ჟურნალისტიკის მაგისტრი
10	ზოგადი განათლების შესაბამისი საფეხურის საგნის/საგნების/საგნობრივი ჯგუფის სწავლების უფლების მითითებით	-
11	დეტალური სფეროს დასახელება და კოდი (ISCED – F – 2013)	ჟურნალისტიკა და რეპორტირება 0321
12	სწავლების ენა	ქართული
13	ECTS კრედიტების ჯამური რაოდენობა	120
14	განხორციელების ადგილი	ი.ჭავჭავაძის გამზ. N25, თბილისი, 0179, საქართველო
15	მსჯავრდებულ აბიტურიენტთა საგანმანათლებლო პროგრამაზე სწავლა-სწავლების უფლებამოსილება	-

საგანმანათლებლო დაწესებულების მიერ საბჭოს წევრ(ებ)ის აცილება
√ არა
საბჭოს წევრ(ებ)ის თვითაცილება
√ არა

საბჭოს თავმჯდომარემ საბჭოს წევრებს მიმართა დაედასტურებინათ, რომ იცნობდნენ უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების მიერ წარმოდგენილ თვითშეფასებას, აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნასა და საგანმანათლებლო პროგრამის ექსპერტთა დასკვნის პროექტზე დაწესებულების მიერ წარმოდგენილ არგუმენტირებულ პოზიციას. საბჭოს წევრებმა დაადასტურეს, რომ იცნობდნენ საქმის მასალებს.
საბჭოს თავმჯდომარემ ჰკითხა დაინტერესებული მხარის (საგანმანათლებლო დაწესებულების) წარმომადგენელს, იცნობდა თუ არა აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას. წარმომადგენელ(ებ)მა დაადასტურა, რომ იცნობდ(ნენ)ა აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას.
ვინაიდან შპს საქართველოს დავით აღმაშენებლის სახელობის უნივერსიტეტის "ჟურნალისტიკის" საბაკალავრო და სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამები შეაფასა ერთმა ექსპერტთა ჯგუფმა, საბჭომ გადაწყვიტა თანმიმდევრობის დაცვით, შესვენების გარეშე განეხილათ ორივე პროგრამა და ორივე პროგრამის აკრედიტაციის გადაწყვეტილებასთან დაკავშირებით ემსჯელათ ერთი შესვენების ფარგლებში.

პირველი საკითხის ზეპირი მოსმენა
ექსპერტების პოზიციის განხილვა
საბჭოს თავმჯდომარემ სთხოვა ექსპერტთა ჯგუფს წარმოედგინათ მათი პოზიცია.
ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარემ, ნინო შოშიტაშვილმა აღნიშნა, რომ წარმოდგენილი პროგრამა 2011 წელს იყო აკრედიტებული, რომლის მიზანიც იყო შიდა და საერთაშორისო შრომის ბაზარზე კონკურენტუნარიანი ჟურნალისტის ბაკალავრის მომზადება. პროგრამის ძლიერ მხარეს წარმოადგენდა კვალიფიციური აკადემიური და მოწვეული პერსონალი, მათი აკადემიური და პრაქტიკული გამოცდილება. ასევე, პროგრამის მატერიალურ-ტექნიკური ბაზა, განსაკუთრებით სატელევიზიო მიმართულებით. უნივერსიტეტს ჰქონდა საკუთარი ტელევიზია, „სდასუ TV“ და სტუდენტებს ჰქონდათ შესაძლებლობა, რეალურ გარემოში შეექმნათ და გაევრცელებინათ სატელევიზიო პროდუქტი. ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის განმარტებით, პროგრამაზე ჩარიცხულ სტუდენტთა რაოდენობა მცირე იყო. ბოლო ხუთი წლის განმავლობაში, ყველაზე მეტი 2019 წელს, 23 სტუდენტი ჩაირიცხა. 2020 და 2021 წლებში კი ჩაირიცხა 9-9 სტუდენტი. ექსპერტთა ჯგუფის აზრით, პროგრამას გააჩნდა უფრო მეტი

სტუდენტის მოზიდვის პოტენციალი, ამისათვის კი საჭირო იყო, რომ რეკრუტირების მიმართულებით ძალისხმევა გაეძლიერებინა დაწესებულებას და განეხორციელებინა გარკვეული ინოვაციური მიდგომები. ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარემ აღნიშნა, რომ პროგრამის სწავლის შედეგები, კურიკულუმის ანალიზის შედეგად, გადის პროგრამა შედეგებზე, ერთადერთი იყო მე-3 სწავლის შედეგი, რომელიც შემდეგი ფორმულირებით იყო: „აფასებს ჟურნალისტიკისა და მასობრივი კომუნიკაციის, საინფორმაციო სივრცის თავისებურებებს, ჟურნალისტიკის თანამედროვე კონცეფციებს, საზოგადოებაზე მასმედიის ზემოქმედების ფაქტორებს, საზოგადოებასთან ურთიერთობის საფუძვლებს“. აღნიშნულ სწავლის შედეგთან დაკავშირებით, ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარემ აღნიშნა, რომ აღნიშნული სასწავლო კურსები, რომლებიც ძირითად მოდულში ჰქონდა დაწესებულებას მოცემული, გადიოდა სწავლის შედეგზე, მაგრამ სტრულად ვერ ასახავდა, რადგან საზოგადოებასთან ურთიერთობის საფუძლვების გარეშე სრულად აღნიშნულ შედეგზე ვერ გავიდოდნენ. საზოგადოებასთან ურთერთობის საფუძველი დაწესებულებას არჩევით მოდულში ჰქონდა მოცემული. შემდეგი რეკომენდაცია შეეხებოდა ბაზრის კვლევის შედეგად ნაჩვენებ საკითხს, რომლის მიხედვითაც ყველაზე პრობლემურ საკითხს წარმოადგენდა პრაქტიკული უნარების მქონე კურსდამთავრებული სტედენტების არსებობა. ხუთ ბალიან შკალაზე ეს იყო 3.96-4 ქულა. ინტერვიუს პანელით, ადგილზე დათვალიერებული მასალებით ვლინდებოდა, რომ უნივერსიტეტი უზრუნველყოფდა სატელევიზიო საქმიანობისთვის საჭირო უნარ-ჩვევების გამომუშავებას, მაგრამ ეს უკანასკნელი პროგრამის შინაარში სრულად და ნათლად არ იყო წარმოჩენილი. იყო სასწავლო კურსები, ახალი ამბების ჟურნალისტიკა, სამაუწყებლო ტელეჟურნალისტიკა, სატელევიზიო დოკუმენტალისტიკა, რომელიც მოიცავდა აღნიშნულ თემას, მაგრამ იქაც ცალკეული პრაქტიკული დავალებები, სამუშაოები ჩანდა და არ ჩანდა ის რუტინული საქმე, რაც ჟურნალისტის სატელევიზიო პროდუქტის საბოლოო სახის შექმნისთვის არის საჭირო და რასაც პირველი საფეხურიდანვე უნდა შეეჩვიოს მომავალი ტელეჟურნალისტი. აქედან გამომდინარე, ექსპერტთა ჯგუფის რეკომენდაცია იყო, რომ აღნიშნულ პრობლემას გადაჭრიდა სატელევიზიო ჟურნალისტიკის კურსებში პრაქტიკის ფართოდ გამოყენება და ნათლად გამოჩნდებოდა თუ რა საფეხურებს გადიოდა სტუდენტი და როგორ სწავლობდა ის სატელევიზიო ჟურნალისტიკას. ექსპერტთა ჯგუფი თვლიდა, რომ დამსაქმებლებთან გაფორმებული მემორანდუმები მწირი იყო, რადგან რელევანტური მათ შორის გამოიკვეთა ალია და საზოგადოებრივი მაუწყებელი. სხვა შემთხვევაში წარმოდგენლილი მემორანდუმების საგანი იყო განსხვავებული. ხშირ შემთხვევაში ეს წარმოადგენდა კონცერტებისა და ფილმების ჩვენებას სდასუს ტელევიზიით. რაც მიმართული არ იყო პრაქტიკული უნარები განვითარებიაკენ. ექსპერტმა ასევე ისაუბრა მესამე რეკომენდაციაზე და აღნიშნა, რომ სწავლა-სწავლებისა და კვლევის ინტერნაციონალიზაციის პროცესის გაფართოების საკითხი უნივერსისტეტს SWOT ანალიზში სუსტ მხარეებში ჰქონდა წარმოდეგნილი. ექსპერტის შეფასებით კარგი იქნებოდა თუ ამ მიმართულებით უფრო გააქტიურდებდნენ უცხოელ პარტნიორთა წრეს. ექსპერტმა, ასევე ისაუბრა რჩევებთან დაკავშირებით და განმარტა, რომ მე-7 სემესტრში გათვალისწინებულ „ინტერნეტ-ჟურნალისტისკის“ სასწავლო კურსის შინაარსშ იყო ისეთი საკითხები, როგორიც იყო ახალი მედიის რაობა, ტრადიციული და ახალი მედიის მსგავსება, ციფრული პლატფორმების გამოყენევის ცოდნა. ექსპერტის განმარტებით, მასალა, რომელსაც აითვისებს ამ კურსით სტუდენტი, კარი ბაზისი იქნებოდა ისეთი სასწავლო კურსებისთვის და დისციპლინებისთვის, როგორიც იყო ბეჭდური მედია, ახალი ამბების ჟრნალისტიკა, შემოქმედებითი სახელოსნო, მედიატექნოლოგიები, აქედან გამომდინარე ექსპერტთა ჯგუფი თვლის, რომ აღნიშნული სასწავლო კურსის სწავლება მე-7 სემესტრში დაგვიანებულია. ექსპერტთა ჯგუფის რჩევა იყო, რომ სასწავლო კურსი დაწყებით სემესტრებში გადმოეტანა დაწესებულებას. აგრეთვე, სასწავლო კურსი „კვლევის მეთოდები“, რომელიც მოიცავდა სტრუქტურულ-ფუნქციონალურ ანალიზსს, მეთოდიკების შესწავლას, ექსპერტთა ჯგუფის მოსაზრებით, მისი დაძლევა გაუჭირდებოდა მეორე კურსის სტუდენტს და შესაძლებელი იყო

მისი მეექვსე-მეშვიდე სემესტრებში გადატანა. სასწავლო კურსი, „სატელევიზიო დოკუმენტალისტიკა“ და „პროგრამირება“ დარგობრივი დისციპლინები იყო და შესაძლებელი იყო ასევე მისი არჩევითი სასწავლო კურსების მოდულში გათვალისწინება. „სატელევიზიო დოკუმენტალისტიკის“ სასწავლო კურსი ხუთ კრედიტიანი იყო, მაგრამ მასში მოცემული დავალების - „გადაიღონ დოკუმენტური ფილმები და შექმნან სცენარი“, მოცულობის გათვალისწინებით შესაძლებელი იყო კურსის კრედიტების რაოდენობის გადახედვა. ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარემ აღნიშნა, რომ ექსპერტები გაეცნენ წარმოდგენილ „რიდერებს“ და კარგი იქნებოდა თუ ისინი დაეფუძნებოდა დარგის თანამედროვე კვლევებზე აგებულ, უცხოენოვან ლიტერატურას. ამით სტუდენტები გაეცნობოდნენ დარგის თანამედროვე ტენდენციებს. მან ასევე აღნიშნა, რომ სასურველი იყო, რომ სტუდენტთა, კურსდამთავრებულთა, პერსონალთა გამოკითხვის მეთოდოლოგია უფრო დახვეწილიყო და პროცედურას ფორმალურის ნაცვლად, რეალური ფუნქცია შეეძინა. უმჯობესი იქნებოდა, თუ პროგრამის გარე შეფასება განხორციელდებოდა ორი, ან მეტი დამოუკიდებელი ექსპერტის მიერ. ექსპერტთა ჯგუფს ასევე რჩევის სახით ჰქონდა, სტუდენტთა აკადემიური მოსწრების ანალიზი განქორციელებულიყო რეგულარულად და საჭიროების შემთხვევაში, მომხდარიყო პროგრამის დახვეწა და განვითარება აღნიშნულის საფუძველზე. ასევე სასურველი იყო, პროგრამის ხარისხის უზრუნველყოფის მიზნით დადგენილი გარკვეული აქტივობები რეგულარულად განხორციელებულიყო, კერძოდ: აკადემიური პერსონალის სამეცნიერო-კვლევითი საქმიანობის რეგულარული შეფასება, შედეგების გამოყენება პროგრამის გაუმჯობესებისათვის. ასევე სასურველი იყო, რომ ანალოგიურ პროგრამებთან შედარების პროცესი მეტად ყოფილიყო გაანალიზებული, პროცესი ყოფილიყო ფორმალიზებული და დოკუმენტურად წარმოდგენილი.

ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარემ საბჭოს გააცნო დასკვნაში დაფიქსირებული რჩევები პროგ რამის განვითარებისთვის:

1. ინტერნეტჟურნალისტიკის სასწავლო კურსის სწავლება განისაზღვროს დაწყებით სემესტრებში, ხოლო "მედიის კვლევის მეთოდების" - მე-6/7 სემესტრში. ასევე, სატელევიზიო პროგრამისა და სატელევიზო დოკუმენტალისტიკის სასწავლო კურსები გათვალისწინებულ იქნას ძირითადი სწავლის სფეროს არჩევით მოდულში;
2. სტუდენტის სასწავლო დატვირთვის, შესასრულებელი დავალებების მოცულობისა და სირთულის გათვალისწინებით, გაიზარდოს სატელევიზიო დოკუმენტალისტიკის სასწავლო კურსის კრედიტების რაოდენობა;
3. პროგრამის სასწავლო კურსებში წარმოდგენილი რიდერები დაეფუძნოს თანამედროვე რელევანტურ (მათ შორის უცხოენოვან)ლიტერატურას;
4. დაიხვეწოს სტუდენტების, კურსდამთავრებულებისა და პერსონალის გამოკითხვის მეთოდოლოგია, რათა ამ პროცედურამ ფორმალობის ნაცვლად რეალური ფუნქცია შეიძინოს;
5. პროგრამას გააჩნია უფრო მეტი სტუდენტის მოზიდვის პოტენციალი, რისთვისაც საჭიროა რეკრუტირების მიმართულებით ძალისხმევის გაძლიერება და ამ კუთხით ინოვაციური მიდგომების გამოყენება;
6. საგანმანათლებლო პროგრამის გარე შეფასება განხორციელდებოდეს ორი ან მეტი დამოუკიდებელი ექსპერტების ან/და სხვა (მათ შორის საერთაშორისო) გარე შემფასებლის მიერ;
7. დაწესებულებამ განახორციელოს სტუდენტთა აკადემიური მოსწრების ანალიზი რეგულარულად, მოახდინოს საჭიროების შემთხვევაში რეაგირება და გამოიყენოს შედეგები პროგრამის დახვეწისა და განვითარებისთვის;
8. დაწესებულება ახდენდეს შიდა მექანიზმებით პროგრამის ხარისხის უზრუნველყოფის მიზნით დადგენილი აქტივობების რეგულარულ განხორციელებას, კერძოდ, აკადემიური

პერსონალის სამეცნიერო-კვლევითი საქმიანობის რეგულარულ შეფასებას, ხოლო შედეგების გამოყენებას პროგრამის განმახორციელებლი პერსონალის მოტივირებისა და განვითარების მიზნით;

9. ანალოგიურ პროგრამებთან შედარების განხორციელების პროცესი მეტად იქნეს გაანალიზებული, პროცესი ფორმალიზებული და დოკუმენტურად წარმოდგენილი.

საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა დაწესებულების წარმომადგენლებს დაეფიქსირებინათ საკუთარი პოზიცია.

დაწესებულების წარმომადგენელმა, მაკა დოლიძემ, პირველ რეკომენდაციასთან დაკავშირებით განმარტა, რომ სასწავლო კურსი „სამაუწყებლო მედია „ტელეჟურნალისტიკა“ ითვალისწინებდა 5 გადაცემის რეცენზირებას, 2 სცენარის და გადაცემის მომზადებას. მისი განმარტებით, აღნიშნული საკამრისი, იყო თუმცა თუკი ეს პროგრამაში აისახებოდა გაფართოების მიზნით ინსტიტუცია მზადაა გაითვალისწინოს. დაწესებულების წარმომადგენლის თმით, როდესაც ინსტიტუციის წარმომადგენლებმა იმსჯელეს აღნიშნულ საკითხთან დაკავშირებით, გააკეთეს დასკვნა, რომ სავსებით საკმარისი იყო 9 პრაქტიკული სამუშაო. რაც შეეხებოდა „სატელევიზიო დოკუმენტალისტიკის“ კურსს, აღნიშნული ითვალისწინებდა ფილმის 10 რეცენზირებად და ერთ სატელევიზიო ფილმის მომზადებას. „ახალი ამბების ჟურნალისტიკის“ კურსს , ამ შემთხვევაში, ყოველი ჟანრის დასრულების შემდეგ, სტუდენტი ვალდებული იყო, წარედგინა მასალა, როგორც პრესისათვის, ასევე ტელევიზიისათვის. რაც ჯამში წარმოადგენდა რვა გამზადებულ მასალას. გარდა ამისა, იყო ასევე იყო საჯარო ინფორმაციის მოპოვების, საგაზეთო ახალი ამბის მომზადების, პრესრელიზის მომზადების და დამუშავების კომპონენტები.

დაწესებულების წარმომადგენელმა, თამარ ტუფინაშვილმა, განაცხადა, რომ აღნიშნული პროგრამა ხორციელდებოდა 2011 წლიდან, ხოლო 10 წლის განმავლობაში საკანონმდებლო ცვლილებებიდან, შრომის ბაზრის კვლევიდან, კურსდამთავრებულთა გამოკიხთიდან გამომდინარე პროგრამა განიცდიდა ცვლილებას. დაწესებულების წარმომადგენლის თქმით, როდესაც ინსტიტუციამ დაიწყო რე-აკრედიტაციისთვის მზადება, მათ ჰქონდათ დარგის სპეციალისტებთან აქტიური კომუნიკაცია და ჩატარდა შრომის ბაზრის კვლევა. შრომის ბაზრის კვლევის შედეგების მიხედვით, იკვეთებოდა პრაქტიკული უნარ-ჩვევების ნაკლებობა კურსდამთავრებულებში. დაწესებულების წარმომადგენელის განმარტებით, გამომდინარე იქიდან რომ უნივერსიტეტს აქვს ტელევიზია, ხმის ჩამწერი სტუდია და სხვა შესაძლებლობები, რაც უზურუნველყოფს იმას, რომ პროგრამა იყოს ისეთი, როგორსაც ითხოვს თანამედროვე ბაზარი. სილაბუსებში, დარგის სპეციალისტების მიერ გათვალისიწნებულ იქნა პრაქტიკული კომპონენტი. დაწესებულების წარმომადგენელმა, დაამატა, რომ თუკი საბჭო გაიზიარებდა პირველ რეკომენდაციას, ინსტიტუციის წარმომადგენლები ისევ განიხილავდნენ აღნიშნულ საკითხს, თუმცა არგუმენტირებულ პოზიციაში, პირველი რეკომენდაციის არ გაზიარების მიზეზი იყო ის, რომ ამ ეტაპისთვის, სრულიად საკმარისი იყო თითოეული მიმართულებით პრაქტიკული კომპონენტი, რომელიც ჩადებული იყო დარგის სპეციალისტების მიერ სასწავლო კურსებში. მეორე რეკომენდაციასთან დაკავშირებით, დაწესებულების წარმომადგენელმა განმარტა, რომ ინსტიტუცია იზიარებდა აღნიშნულ რეკომენდაციას და სასწავლო კურსი „საზოგადოებასთან ურთიერთობის საფუძვლები“ გადატანილი იქნებოდა სავალდებულო კომპონენტში. მესამე რეკომენდაციასთან დაკავშირებით, დაწესებულების წარმომამდგენელმა, აღნიშნა, რომ თვითშეფასების დოკუმენტში ინტერნაციონალიზაციის საკითხი გასაუმჯობესებელ მხარეში იყო მითითებული. თუმცა, ინტერნაციონალიზაციის კუთხით, უცხოური სტატიების გამოყენება, უცხო ენოვანი დაგობრივი კურსები, პროფესორთა განვითარების მიზნით მივლინებები ხორციელდებოდა. მემორანდუმთან დაკავშიირებით, დაწესებულების წარმომადგენლმა განმარტა, რომ იყო გაფორმებული მემორანდუმები, თუმცა შესაძლებელი იყო, რომ ყველა შესაბამისობაში არ ყოფილიყო პროგრამასთან. დაწესებულების წარმომადგენლის განმარტებით, სტუდენტების რაოდენობის მიხედვით მემორანდუმები

საკმარისი იყო. გამომდინარე იქიდან, რომ ინსტიტუციას ჰქონდა საკუთარი ტელევიზია, ხმის ჩამწერი სტუდია, გარდა ამისა ურთიერთანამშრომლობის მემორანდუმი საქართველოს საზოგადოებრივ მაუწყებელთან, „ალია და კვირის ქრონიკა“ და სხვა. დაწესებულების წარმომადგენლის თქმით, ახლამა საკვალიფიკაციო ჩარჩომ ESG-2015-მა ძალიან შეცვალა აღნიშნულ სფეროსთან მიდგომა. მისი თქმით, რთული იყო შესასრულებლად საკვალიფიკაციო ჩარჩოს მოთხოვნების მიხედვით პროგრამის შედგენა. მან აღნიშნა, რომ გასათვალისწინებელია ის ფაქტორი, რომ ახალი საკვალიფიკაციო ჩარჩოს მიხედვით პროგრამა არ უნდა იყოს მხოლოდ და მხოლოდ „შინაარსი“, იგი უნდა იყოს კონტენტი. ასევე უნდა იყოს ჩადებული მასობრივი კომუნიკაციის მეთოდების შესწავლა, ისეთების როგორიცაა ბეჭდური პროდუქციის შესწავლა, რატიო-ტელე პროდუქციის, საგამომცემლო დიზაინის მომზადება. დაწესებულების ხარისხმა აღნიშნა, რომ მათ ამ ყველაფრის ცოტ-ცოტა ჩადება მოახერხებს პროგრამის ფარგლებში, რადგან მათი კურსდამთავრებულები იყვნენ დასაქმებულები ამ მხრივ, თუმცა მან დასძინა, რომ ახალი სტანდარტის მიხედვით, საკმაოდ მჭიდრო ფარგლებში იყო მოქცეული ჟურნალისტიკის პროგრამა.

საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა საბჭოს წევრებს წარმოედგინათ მოსაზრებები.

საბჭოს წევრმა, ნინო ჭალაგანიძემ აღნიშნა, რომ 5 წლის წინ გაეცნო უნივერსიტეტის პრაქტიკულ ბაზას, რომელიც მისი შეფასებით იყო შთამბეჭდავი და აქედან გამომდინარე, იცოდა თუ რამდენი რამის გაკეთება იყო შესაძლებელი ოპტიმიზაციის მიზნით. საბჭოს წევრმა ასევე განმარტა, რომ მედიის პროგრამებისათვის ახალი ლიტერატურის რესურსი წარმოადგენდა სირთულეს. გარდა ამისა საბჭოს წევრის თქმით თარგმანი ყოველთვის არ იყო რელევანტური, ხოლო სტუდენტებს ჰქონდათ პრეტენზიები იმის შესახებ, რომ უცხოეთის რეალობისა და თანამედროვე ქართული მედია არ ერგება ერთამენთს. საბჭოს წევრმა ასევე ხაზი გაუსვა, რომ როდესაც გადახედა საგნებს, ნახა, რომ ბევრ საგანში გამოყენებული იყო „რიდერები“, ხოლო „რიდერის“ მომზადება მოითხოვდა უდიდეს შრომას. საბჭოს წევრი დაინტერესდა „რიდერები“ იყო თუ არა სტანდარტის შესაბამისი, რომელი წყაროები არის გამოყენებული და რამდენად შეძლებენ სტუდენტები რიდერებით შეისწავლონ მასალა. საბჭოს წევრმა, ასევე აღნიშნა, რომ მკაფიოდ არ იყო წარმოდგენილი წარმოდგენილი საბაკლავრო ნაშრომის შესრულების, კვლევის მეთოდოლოგია, არ იყო მითითებული ლიტერატურის მიმოხილვა, ასევე მისი თქმით ანოტაციაში იყო მითითებული, რომ სტუდენტმა გამოიყენა ორი ლიტერატურა, ხოლო იყო თუ არა საკმარისი ორი ლიტერატურა. საბჭოს წევრმა, თხოვნით მიმართა პროგრამის წარმომადგენლებს აეხსნათ თუ რა სხვაობა იყო „მედია განათლებას“ და „მედია წიგნიერებას“ შორის. საბჭოს წევრი, ასევე დაინტერესდა არსებული ბაზის პირობებში, რატომ არ ისწავლებოდა სავალდებულოდ „საგანმანათლებლო სისტემები და მულტიმედია“.

საბჭოს წევრმა, თეონა მატარაძემ მიმართა ექსპერტთა ჯგუფს უფრო დეტალურად განეხიხლათ პირველ რეკომენდაციას, სადაც მისი თქმით გაერთიანებული იყო ერთის მხრივ სწავლა სწავლების გაუმჯობესება და მეორე მხრივ კვლევის ინტერნაციონალიზაციის საკითხი. საბჭოს წევრმა, ასევე კითხვით მიმართა ინსტიტუციას და აღნიშნა, რომ გადახედა „კვლევის მეთოდების“ კურსს, ხოლო კურსის პირველი 8 კვირა შეეხებოდა ზოგად საკითხებს, ხოლო მე-9 კვირიდან იწყებოდა ის, რაც კვლევის მეთოდები იყო. საბჭოს წევრი დაინტერესდა თუ რამდენად იყო საკმარისი იყო 4-5 კვირაში ჩატეული კვლევის მეთოდები, იმისათვის, რომ სტუდენტს განუვითარდეს ის უნარები, რომელიც შემდეგ პრაქტიკულ საბაკლავრო ნაშრომზე მუშაობისას დასჭრდება. საბჭს წევრმა, ასევე აღნიშნა, რომ გადახედა საბაკალავრო ნაშრომებს და თვალშესაცემი იყო გამოყნებული მასალა, რომელიც პრაქტიკულად იყო სავალდებულო ლიტერატურა, სუსტად იყო გამოყენებული სამეცნიერო ლიტერატურა, ასევე სტანდარტი, რომელიც იყო მითითებული სამაგისტრო ნაშრომის სილაბუსში ფაქტიურად არ იყო დაცული ციტირების კუთხით.

საბჭოს წევრმა, ელიზბარ ელიზბარაშილმა აღნიშნა, რომ ჟურნალისტიკაში დიდი პრობლემა, იყო დარგობრივი ჟურნალისტიკის თვალსაზრისით და დაინტერესდა პროგრამაში რამდენად იყო ეს საკითხი გათვალისწინებული.

საბჭოს წევრმა, მაკა კაჭარავამ განმარტა, რომ საბაკალავრო ნაშრომის სილაბუს ერთ-ერთ შედეგში არ იყო მოცემული აკადემიური კეთილსინდისიერების წესების და პრინციპების დაცვის უნარის გამომუშავება. საბჭოს წევრი დაინტერესდა აღნინშულ პროგრამასთან და ზოგადად საბაკალვრო ნაშრომებთან მიმართებაში, თუ როგორ მუშაობდა ანტიპლაგიატის პროგრამა.

საბჭოს თავმჯდომარე დაინტერესდა ბიუჯეტთან დაკავშრებით, მისი თქმით წარმოადგენილი იყო სკოლის ბიუჯეტი, ხოლო არ იყო წარმოდგენილი პროგრამული ბიუჯეტი, მაშინ როდესაც თავად ინსტიტუცია ამბობდა, რომ რეკრუტირება და მარკეტინგი ამ მიმართულებით მნიშვნელოვანი იყო, რათა უფრო მეტი სტუდენტი ყოფილიყო მოძიებული, ხოლო ტენდენცია კლებულობდა სტუდენტების რიცხოვნობასთან დაკავშირებით, შესაბამისად, კიდევ უფრო მნიშნელოვანი ხდებოდა პროგრამული ბიუჯეტის და დაფინანსების შესახებ ინფორმაციის ქონა. საბჭოს თავმჯდომარემ ასევე ისაუბრა 2.2 ქვესტანდარტში რეკომენდაციასთან დაკავშირებით, სადაც ჩანაწერი იყო, რომ სასწავლო კურებში თეორიულ საკითხებთან ერთად ფართოდ ჩაშენდეს პრაქტიკული კომპონენტი. თავმჯდომარის თქმით, ხარვეზი იყო, როდესაც, რაღაც არ სრულდება ან არ არის, ხოლო, როგორც ინსტიტუცია ამბობს და სილაბუსებიდანაც იკვეთებოდა პრაქტიკული კომპონენტი რაღაც დოზით იყო. საბჭოს თავმჯდომარე დაინტერესდა თუ არ მოხდა პრაქტიკული კომპონენტის ფართოდ ჩაშენება შეუშლის თუ არა ეს ხელს პროგრამის სწავლის შედეგებზე გასვლას.

საბჭოს წევრმა, ეკატერინე ნაცვლიშვილმა აღნიშნა, რომ საბაკავრო პროგრამაში ძალიან საინტერესო არჩევითი სასწავლო კურსი იყო „ლიდერობა და მართვის ხელოვნება“. საბჭოს წევრი დაინტერესდა თუ რამდენად დაძლევადი იყო არსებულ დროის მონაკვეთში, საკითების შესწავლა და სწავლის შედეგებზე გასვლა.

ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარემ, უპასუხა შეკითხვებს. „რიდერებთან“ დაკავშრებით, ექსპერტის განმარტებით მან გადხედა „რიდერებს“, სადაც წარმოდგენილი იყო ქართულ ენოვანი ლიტერატურა სხვადასხვა წყაროებიდან. ექსპერტის თქმით, მას „რიდეერებში“ დააკლდა ის თანამედროვე მიდგომები და ტენდენციები, რომელიც დასავლურ მედიას ქონდა და მრავლად შეიძლება ყოფილიყო სტატიებში და სხვადასხვა სახელმძღვანელოებში წარმოდგენილი. ექსპერტმა ასევე ისაუბრა პრაქტიკულ კომპონენტთანდ დაკავშირებით და აღნიშნა, რომ სატელევიზიო ჟურნალისტიკა არ იყო მხოლოდ გადაცემის რეცენზია და ის ტექნიკური უნარ-ჩვევები ვერ იქნება დაძლეული. ექსპერტის თქმით, კონტენტი იყო კარგი, თუმცა ვიზუალური თხრობა არსად ჩანდა. საბაკალავრო ნაშრომებთან დაკავშირებით, ექსპერტმა განმარტა, რომ იყო ძალიან მცირე სტუდენტთა რაოდენობა და არსებული მოცემულობით პანელზეც კი გამოჩნდა, რომ პედაგოგები იყვნენ მაღალკვალიფიციურიები, მაგრამ ვეღარ შეძლეს. ინტერნაციონალიზაციასთან დაკავშირებით, ექპერმა აღნიშნა, რომ არ ჩანდა აქტივობა, იყო მხოლოდ ერთი მემორანდუმი ლოძის უნივერსიტეტთან.შესაბამისად გაიწერე რეკომენდაცია ამასთან დაკავშირებით.

ექსპერტთა ჯგუფის წევრმა, ხათუნა კაჭარავამ განმარტა, რომ უნივერსიტეტს სტრატეგიული განვითარების გეგმის SWOT ანალიზში, სუსტი მხარეების ჩამონათვალშ ეწერა სწავლა სწავლების და კვლევის ინტრენციონალიზაციის პროცესის და სტრატეგიულ პარტნიორთა წრის გაფართოების სურვილი. ექსპერტის თქმით პერსპექტივა არსებობდა და რეკომენდაციაც სწორედ ამ მიმართულებოიოთ იყო.

ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარემ, სილაბუსთან დაკავშირებოთ „მედიის კვლევის მეთოდები“, სადაც თავიდან იწყებოდა სტრუქტურულ ფუნქციონალური ანალიზი და შემდგომ მეექვე ლექციიდან იწყებოდა კონტენტ ანალიზები, რაოდენობრივი და თვისებრივი კვლევები. ექსპერტის შეფასებით მიდგომა იყო ასეთი, რომ პროგრამის წარმომადგენლებს უნდოდათ ეჩვენებინათ ინსტიტუციური მიმართებები, რაც შესაძლებელია მედიის კვლევისთვის იყოს ფუნქციურ ანაზლი და შემდგომ გადავიდეს ტექნიკების დაუფლებაზე და ა.შ. ექსპერტის თქმით, პედაგოგი, რომლის კომპენტენციაც იყო კურსის წაყვანა, შეძლებს შედეგებზე გასვლას, რადგან ასწავლის იმ მეთოდებით, რომლითაც უნდა იკვლიოს სტუდენტმა.

საბჭოს წევრმა, მაკა კაჭარავამ დააფიქსირა მოსაზრება, რომ პროგრამის მიზანში პირდაპირ იყო დეკლარირებული „მოამზადოს ეროვნული და საერთაშრისო შრომის ბაზრისთვის სპეციალისტები“. საბჭოს წევრის თქმით, ვინაიდან ინტერნციონალიზაციის საკითხი წარმოადგენდა სუსტ მხარეს და ასევე მხოლოდ ერთ უცხოურ უნივერსიტეტთან იყო დადებული მემორანდუმი, ხომ არ იყო უმჯობესი საერთაშორის შრომის ბაზრის ნაწილის ამოღება.

საბჭოს წევრმა, ნინო ჟალაგანიძემ დააფიქსირა მოსზრება, რომ ინტერნაციონალიზაცია არის ის საკითი, რომელზე ზრუნვაც მუდმივად უნდა იყოს ინსტიტუციის მხრიდან ყურადღების ქვეშ. საბჭოს წევრის თქმით, ინსტიტუციაა ამ კუთხით არ იყო ნულოვან დონეზე, რატომღაც მხოლოდ ლომს უნივერსიტეტი იყო მითითებული და თავისუფლად იყო შესაძლებელი მიეთითებინათ „დეპოლი“, „ლოიოლა“. ეს ის უნივერსიტეტები იყო, სადაც ერთობლივად იყვნენ ჩართულები.

საბჭოს თავმჯდომარემ დააზუსტა, 5.3 ქვესტანდარტში წარმოდგენილ რჩევასთან დკაავშირებით, სადაც ყველაგან საუბარი იყო რეგულარულ ანაზლიზზე, რა იგულისმხებოდა აღნიშნულ რჩევებში.

ექსპერტთა ჯგუფის წევრმა, ილია ბოცვაძემ განმარტა, რომ ზოგადად უნივერსიტეტს ხარისხის მართვის მექანიზმები ჰქონდა ჩამოყალიბებული და პრაქტიკაშიც ახორციელებდნენ, რაც დასტურდებოდა გამოკითვის შედეგად. თუმცა დოკუმენტაციის სახით აღნიშნული საკითხი ნაკლებად იყო წარმოდგენილი, შესაბამისდა ექსპერტის თქმით გაიწერა რჩევები ამასთან დაკავშირებით.

დაწესებულების წარმომაგდენელმა, თამუნა ტუფინაშვილმა განმარტა, რომ ინტერნაციონალიზაციის საკითხი მითიტებული იყო თვითშეფასებაში, როგორც გასუამჯობესებელი მხარე, თუმცა ეს ნამდვილად არ იყო ნულოვანი დონე. გამომადინარე იქიდან, რომ თვითშეფასების დოკუმენტი გაცელებით უფრო ადრე იყო წარმოდგენილი, ვიდრე ვიზიტი განხორციელდა, ხოლო თანამშრომლობის მოლაპარაკებები ამ ეტაპზე მიმდინარეობდა, შესაბამისად თვითშეფასების დოკუმენტში აღნიშნული საკითხები არ იყო წარმოდგენილი. დაწესებულებუს წარმომადგენელმა, ასევე აღნიშნა, რომ პროგრამაზე მუშაობისისას, სამუშაო ჯგუფის მიერ მოხდა, რამოდენიმე უცხოურ უნივერსიტეტთან დადარება, როგორც პროგრამის ანალიზი. ხოლო ფორმალური დოკუმენტი, რომ მოხდა შედარება, არ ჰქონდა ინსტიტუციას. რაც შეეხება პერსონალურ კვლევებს, ყოველ აგვისტოში პერსონალი წარმოადგენდა იმ აქტივობების ჩამონათვალს, რომელიც მან განახორციელა მთელი წლის განმავლობაში, რაც აისახება შესაბამის ფორმაში. ექსპერტებს მიეწოდათ 2020 წლის ანალიზი, რომელიც იყო პროგრამის განმახორციელებლების. დაწესებულების წარმომადგენელმა დაადასტურა, რომ ყველა რჩევას მიიღებდა მხედვალობაში პროგრამის განვითარების პროცესში.

პროგრამის ხელმძღვანელმა, მაკა დოლიძემ დარგობრივ ჟურნალისტიკაშთან დაკავშრებით ისაუბრა და აღნიშნა, რომ პროგრამა იყო პრაქტიკულად დარგობრივ ჟუნალისტიკაზე გადასული. შეტანილ იქნა ისეთი საკითები, როგორიც იყო სპორტული ჟურნალისტიკა, მედია განათლება, აგრო ჟურნალისტიკა, მედია მედიცინა და ა.შ. დაწესებულების წარმომადგენლის თქმით, რადგანაც ყურადღება გამახვილებული იყო ჟურნალისტიკაზე და რეპორტიორებზე, ამიტომ დარგზე უნდა წასულიყო პროგრამა. სტუდენტს შეუძლია დარგი აირჩიოს სურვილის მიხედვით. მულტი მედია პაკეტებთან დაკავშირებით, პროგრამის ხელმძღვანელმა განმარტა, რომ ჩარჩოში არ ჯდებოდა, ამიტომ მიიღეს გადაწყვეტილება, რომ სტუდენტს მაინც უნდა ესწავლა, მოხდა არჩევით საგნებში. კვლევის მეთოდებთან დაკავშირებით, პროგრამის ხელმძღანელმა განმარტა, რომ მეორე კურსზე იწყებოდა. სტუდენტი, რომელიც გადის კომფერენციაზე, პროექტს აფინანსებს უნივერსიტეტი. გამოცდილების მიხედვით, უმჯობესი იყო კვლევის მეთოდები ყოფიულიყო მე-2 კურსზე, რათა სტუდენტს ჰქონოდა შესაძლებლობა კვლევის მეთოდების შესწავლის.

დაწესებულების წარმომადგენელმა, თამარ ტუფინაშილმა, განმარტა, რომუნივერსიტეტს შეძენილი ჰქონდა ანტი პლაგიატის პროგრამა, სადაც მოწმდება ყველა საფეხურზე შესრულებული ნაშრომის.
პროგრამის ხელმძღვანელმა, მაკა დოლიძემ სამაგისტრო ნაშრომებთან დაკავშირებით განმარტა, რომ სტუდენტების რაოდენობა იყო მცირე რიცხოვანი, ხოლო ხელმძღვანელები აკეთებდნენ ყველაფერს რათა კარგი ნაშრომები შესრულებულიყო. პროგრამის ხელძრვანელმა ასევე აღნიშნა, რომ „ლიდერობის“ სასწავლო კურსი იყო არჩევითი, ამიტომ შედეგზე არ გადიოდა.
საბჭოს წევრმა, ნინო ჭალაღანიძემ სთხოვა დაეზუსტებინათ ინსტიტუციის წარმომადგენელბს, თუ რომელ ჩარჩოზე იყო საუბარი, რომელიც კრძალავდა რეპორტიორობის სრულფასოვნად სწავლას. საბჭოს წევრის თქმით, რეპორტინგს ვერ აწარმოაბს ჟურნალისტი თუ არ ეცოდინება სამონტაჟო პროგრამები. ხოლო თუკი სამონტაჟო პროგრამები იქნება არჩევით კურსებში, შესაბამისად ის ვერ ჩაითვლება იმ ძირითად უნარებად და კომპეტენციებად, რომლებიც საჭიროა აითვისოს სტუდენტმა და მიენიჭოს კვალიფიკაცია.
დაწესებულების წარმომადგენელმა, თამუნა ტუფინაშილმა განმარტა, რომ ESG-2015, სადაც დეტალურად იყო გაწერილი თუ რას მოიცავს და ითვალისწინებს. საუბარია სწავლის სფეროში, რომელიც კვალიფიკაციას განაპირობებს, თუ რა უნდა ისწავლებოდეს. ხოლო 120 კრედიტის ზემოთ შესაძლებელია ყველაფერი შეტანილ იქნას პროგრამაში, გამომდინარე იქიდან, პროგრამას ჰყავდეს ისეთი კურსდამთავრებული, რომელიც იქნებოდა მაქსიმალურად დასაქმებადი და მოთხოვნადი. თუმცა, ESG-2015, რომლითაც ხელმძღვანელობს ინსტიტუცია და რომლის საფუძველზეც არის ეროვნული კვალიფიკაციის ჩარჩო შექმნილი, ზუსტად იყი განსაზღვრული თუ რას მოიცავდა აღნიშNული სფერო, რას არ მოიცავდა და ა.შ. 120 კრედიტის ფარგლებში. არის ჩანაწერი, რომ სფერო ჟურნალისტიკა და რეპორტიორობა, გამორიცხავს მასობრივი კომუნიკაციისთის საჭირო მეთოდების შესწავლას (მაგ: ბეჭდვა, რადიო-ტელე პროდუქცია) გამოირიცხება ამ დეტალური სფეროდან და კლასიფიცირდება დეტალურ სფეროში 02.11 აუდიო, ვიზუალური მეთოდები და მედია პროდუქცია, წარმოება. საგანმომცემლო დიზაინისა და გამოცემის გეგმის მომზადების შესწავლა გამოირიცხება ამ დეატლური სფეროდან და კლასიფიცირდება დეტალურ სფეროში 02.11 აუდიო ვიზულაური მეთოდები და მედია პროდუქციის წარმოება. საზოგადოებასთან უღთიერთობის შესწავლა გამოიციხება დეტალური სფეროდა და კლასიფიცირდება დეტალურ სფეროში 04.14 მარკეტინგი და რეკლამირება.
საბჭს წევრი, ნინო ჭალაგანიძემ განმარტა, რომ პროგრამაში იყო საგნები „რადიო ჟურნალისტიკა“, „ტელე ჟურნალისტიკა“, სადაც უნდა ისწავლებოდეს თუ როგორ უნდა შეიქმნას ტელე ფა რადიო პროდუქტი. ამიტომ შესაძლებელია შინაარსშივე მოხდეს ამის ჩაშენება, რათა სტუდენტი არ წავიდეს ისე, რომ არ იცოდეს რეპორტინგი.
საბჭოს წევრი, ეკატერინე ნაცვლიშვილი დაინტერესდა დარგობრივი ჟურნალისტიკის მიმართულებით არსებულ სასწავლო კურსებთან დაკავშირებით და აღნიშნა, რომ იყო ერთ-ერთი საინტერესო სწავლის შედეგი „ამზადებს ინფორმაციული და ანალიტიკური ჟანრის მასალებს, საზოგადოებისათვის აქტუალურ და საინტერესო ფაქტებზე.“ საბჭოს წევრი დაინტერესდა ეკონომიკის მიმართულებითაც თუ იყო დასაშვები მოამზადოს რაიმე ანალიტიკური მასალა? თუკი ინსტიტუცია თვლის, რომ შესაძლებელია ეკონომიკური მიმართულებითაც შეძლოს პროცესების გაშუქება, ელემენტარული საბაზისო კურსიც კი, რომელიც ეკონომიკის საწყისებს ასწავლის არ არის შემოატილი. არის საგანი, „ეკონომიკის საფუძვლები“, რომელიც ასევე თავისუფალ კრედიტებშა გადატანილი და სწავლის შედეგების ფორმირებაზე ვერ მოახდენს ზეგავლენას, ისევე, როგორც სავალდებულო საგანი.
დაწესებულების წარმომადგენელმა, თამარ ტუფინაშვილმა ბიუჯეტთან დაკავშირებით ისაუბრა და განმარტა, რომ არცერთ პროგრამას არ ჰქონდა ცალკე ბიუჯეტი და 4.4.4 ქვე სტანდარტსაც ასე ჰქონდა. ინსტიტუციას ყოველთვის წარმორდგენილი აქვს სკოლის ბიუჯეტი და ყველა პროგრამასთან მიმართებაში ასეთია ინსტიტუციის მიმართება. თუმცა სკოლის

ბიუჯეტის გარდა პროგრამას შეუძლია თანხის მოთხოვნა ასევე უნივერსიტეტის ბიუჯეტიდან. რეკურტირების პროცესიც უნივერსიტეტის ბიუჯეტიდან ხორციელდება. მისი თქმიღ აღნიშნულ ფაკულტეტზე იყო 5 პროგრამა.

მეორე საკითხის ზეპირი მოსმენა

ექსპერტების პოზიციის განხილვა

საბჭოს თავმჯდომარემ სთხოვა ექსპერტთა ჯგუფს წარმოედგინათ მათი პოზიცია.

ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარემ, ნინო შოშიტაშვილმა განაცხადა, რომ პროგრამას შესამოწმებელ პერიოდში არ ჰყავდა სტუდენტები, ასევე სტუდენტები არ ჰყავდა 2020 წელს. ვერ მოხერხდა გასაუბრება კურსდამთავრებულებთან, ხოლო იმისათვის, რომ პანელი არ ჩავარდნილიყო, ექსპერტთა ჯგუფი იძულებული გახდა გასაუბრებოდნენ მომიჯნავე სპეციალობის მაგისტრანტებთან. მომიჯნავე სპეციალობის სტუდენტებმა ისაუბრეს ზოგადად საუნივერსიტეტო სერვისებზე, ადმინისტრაციულ საკითხებზე. აღნიშნულ პანელში ვერ მოხერხდა იმ ინფორმაციის მიღება, რომელიც უშუალოდ ჟურნალისტურ სამაგისტრო პროგრამის შინაარს და სტრუქტურაზე სურდათ ექსპერტებს.

ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარემ საბჭოს გააცნო დასკვნაში დაფიქსირებული რეკომენდაციები:

1. პროგრამის სწავლის შედეგების მესამე პუნქტის მისაღწევად არსებულ სასწავლო კურსებს დაემატოს შესაბამისი დისციპლინები, რომლებიც სწავლის შედეგის მიღწევას უზრუნველყოფს;
2. უდს-მ უზრუნველყოს საერთაშორისო თანამშრომლობისა და ინტერნაციონალიზაციის პროცესის ეფექტიანი წარმოება, ინტერნაციონალიზაციისა და სტრატეგიულ პარტნიორთა წრის გაფართოება;
3. პროგრამის შინაარსში აისახოს საგამოძიებო ჟურნალისტური საქმიანობისთვის საჭირო ცოდნისა და უნარების დაუფლება, რაც ხელს შეუწყობს კურსდამთავრებულთა პროფილით დასაქმებას;
4. ტელე- რადიო კომუნიკაციის თეორია და პრაქტიკის სასწავლო კურსის შინაარსში ფართოდ აისახოს რადიოსა და ტელეჟურნალისტიკაში პრაქტიკული უნარების გამომუშავება;
5. უსდ-მ უზრუნველყოს პროფილურ მედიაორგანიზაციებთან ურთიერთთანამშრომლობის მემურანდუმების გაფორმება;
6. თანამედროვე მოთხოვნებთან სასწავლო კურსისა და ზოგადად პროგრამის შესაბამისობის უზრუნველყოფის მიზნით, სასწავლო კურსების სილაბუსებში ლექტორთა მიერ მომზადებულ რიდერებთან ერთად, ძირითად და/ან დამხმარე სახელმძღვანელოებად შეთავაზებული იყოს თანამედროვე რელევანტური ინგლისურენოვანი ლიტერატურა (კურსის შინაარსისა და სპეციფიკის გათვალისწინებით).

ექსპერტმა რჩევებთან დაკავშირებით აღნიშნა, რომ დარგობრივი თვალსაზრისით ექსპერტთა ჯგუფის შეფასებით იყო ვააკუუმი, ამიტომ მათი გადაწყვეტილებით უნდა გაძლიერდეს ტექნიკური კლასებით. რადგან შესაძლებელაი მოვიდეს მაგისტრანტი, რომელმაც არ დაამთავრა ბაკალავრიატი. ასევე ექსპერტთა ჯგუფმა, რჩევის სახით შესთავაზა ინტერდისციპლინური საგნები, რადგან მედიის სფეროში მიიღებს სტუდენტი განათლებას, ასევე მას შეეძლება ცოდნა გამოიყენოს ამ მიმართულებით.

საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა დაწესებულების წარმომადგენლებს დაეფიქსირებინათ საკუთარი პოზიცია.

პროგრამის ხელმძღვანელმა, მაკა დოლიძემ, განმარტა, რომ ეთანხმებოდა პირველ რეკომენდაციას და იგეგმება ახალი საგნის შეტანა. რაც შეეხება „ჟურნალისტურ გამოძიებას“ პროგრამის ხელმძღვანელის თქმით, აღნიშნული საგანი შეტანილი იყო საბაკლავრო პროგრამაზე. პროგრამის ხელმძღვანელის თქმით, თუ მოვა ისეთი მაგისტრანტი, რომელსაც

ეცოდინება ჟურნალისტური გამოძიება, გაივლის იგევე საგანს რაც საბაკლავრო დონეზე ქონდა გავლილი.
დაწესებულების წარმომადგენელმა თამარ ტუფინაშვილმა გნმარტა, რომ როდესაც ბაზრის კვლევა ჩატარდა 16-მა დამსაქმებელმა დაასახელა ის საგნები, რომელიც სამაგისტრო საფეხურზე უნდა ისწავლებოდეს, რაც მეტნაკლებად სამუშაო ჯგუფის მიერ იქნა გათვალისწინებული. დაწესებულების წარმომადგენლის თქმით სამაგისტრო საფეხურზე, გათვალისწინებულია ის საგნები, რომელიც უშუალოდ დამსაქმებლების აზრით უნდა ისწავლებოდეს.
დაწესებულების წარმომადგენელმა, გიგლა გობეჩიამ კითხვებთან და რეკომენდაციებთან დაკავშირებით ისაუბრა და აღნიშნა, რომ „ჟურნალისტური გამოძება“ ისწავლებოდა ბაკლავრიატში. მისი თქმით თავისუფლად იყო შესაძლებელი პროგრამის მოდიფიკაცია შემდეგი სასწავლო წლისთვის. დაწესებულების წარმომადგენლის ვარაუდით აბიტურიენტების კარგად ინფორმირების შემთვევაში მომავლი წლისათვის პროგრამ ეყოლებოდა სტუდენტები. „ჟურნალისტური გამოძების“ სილაბუსთან დაკავშირებით, დაწესებულების წარმომადგენელმა განმარტა, რომ მარტივად იყო შესაძლებელი მისი მნიშნელოვანი შეცვლა სხვა საფეხურზე. სრულიად ახალი მიმართულება წარმოაჩინა პრაქტიკამ ბოლო ერთი წლის მანძილზე (ბლოგერთა გამოძიება). მისი თქმით თუკი კლასიკურ მედიას დღემდე ჰქონდა საშუალება ჟურნალისტური გამოძიების პროდუქტი არ გამოსტყორცხნოს დიდი აუდიტორიის წინაშე, სოციალური მედიით და ქსელებით ამის დაბლოკვა პრაქტიკულად იყო შეუძლებელი, იმის გათვალისწინებით რომ გაცილებით იაფი იყო ეკონომიკური პარამეტრებით. აღნიშნული სასწავლო კურსის დამატება სამაგისტრო საფეხურზე შესაძლებელია, თუმცა დაწესებულების წარმომადგენლის მოსაზრებით ის უნდა იყოს არჩევითი, რადგან თანამედროვე კვლევების მიხედვით, საერთაშორისო და ადგილობრივ შრომის ბაზარზე კარგად საქმდებიან ჟურნალისტები, რომლებსაც მულტიმედიურ ფორმატში შეუძლიათ მუშაობა. მაგისტრატურის საფეხურზე, სიახლეების გათვალისწინებით შესაძლებელია პრაქტიკული მნიშნელობის მქონე არჩევითი კურსის გაკეთება. დაწესებულების წარმომადგენელმა ასევე ისაუბრა ეკონომიკის დარგობრივ მიმართულებაზე და აღნიშნა, რომ სილაბუსში „საქმიანი კომუნიკაცია“ პრაქტიკულად იყო ინფორმაციული ბიზნესი, სადაც სტუდენტები სწავლობენ გავიდნენ საერთაშორისო ბაზარზე, რისთვისაც დაწესებულების წარმომადგენლის მოსაზრებით არ იყო საჭირო ინტერნაციონალიზაციის პროცესები. დაწესებულების წარმომადგენლის თქმით, მარტივად იყო შესაძლებელი კურსის ფარგლებშ თანამედროვე ადგილობრივი ჟურნალისტი დაუკავშრდეს ონლაინ პლატფორმებით აღიარებულ კონტენტის ფაბრიკებს, კონტენტის ბირჟებს. დაწესებულების წარმომადგენელმა ასევე დააფიქსირა მოსაზრება, რომ ქართულ ბაზარზე ორიენტირება იყო წამგებიანი, რადგან ქართული მედია იყო რადიკალურად პოლარიზებული და სხვა ღონისძებები იყო გასატარებელი. დაწესებულების წარმომადგენელმა დაამატა, რომ კარგი იქნებოდა განათლების სამინისტროს მოეწყო სამეცნიერო ფორუმი ამ საკითხთან დაკავშირებით, რათა გაიმართოს მსჯელობა იმ კონტიგენტზე, რომელის მიღებაც ხდება ჟურნალისტიკის ფაკულტეტეზე.
დაწესებულების წარმომადგენელმა, მაია ჭანიამ განაცხადა, რომ ეკონომიკის სილაბუსის ავტორი იყო თავად. მისი თქმით, გამომდინარე იქიდან, რომ სასურველი იყო ჟურნალისტს სხვადასხვა მიმართულებით ჰქონოდა ცოდნა, ხოლო აღნიშნული საგანიც სწორედ ამიტომ იყო მიწოდებული თავისუფალი კრედიტის სახით, იმიტომ, რომ სტუდენტმა თავისი უპირატესობიდან გამომდინარე აირჩიოს მიმართულება, ტუმცა საბაზისო ცოდნას არჩევითი კურსით საგანი საკმაოდ მსუყედ აწვდის ჟურნალისტიკის განვითარებაზე ორიენტირებულ სტუდენტს. სტუდენტს ეძელვა შესაძლებლობა, აირჩიოს რომელი მიმართულებით გაიღრმავებს ცოდნას.

საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა საბჭოს წევრებს წარმოედგინათ მოსაზრებები.

საბჭოს თავმჯდომარემ, აღნიშნა, რომ პროგრამის სწავლის შედეგების ნაწილში ცალსახად ეწერა მე-5 უნარი, რომ კურსდამთავრებულს შეუძლია კრიტიკულად გაანალიზოს ქვეყანაში მიმდინარე პროცესების ასახვა მედიაში და უახლოესი მეთოდებით განახორციელოს კვლევითი საქმიანობა. შესაძლებელია ქვეყანაში ბევრი პროცესი და მოვლენა განვითარდეს სხვდასხვა სფეროში, აქედან გამომდინარე ძირითადი და არჩევითი კურსების გავლის საფუძელზე, როგორ უზურნველყოფს პროგრამა აღნიშნულ შედეგზე გავიდეს სტუდენტი.

საბჭოს წევრმა, გიორგი ღაღანიძემ დადებითად შეაფასა ინსტიტუციის მიერ წარმოდგენილი შრომის ბაზრის კვლევა, თუმცა მისი თქმით, კვლევის შედეგი უნდა გამოიყენოს ინსტიტუციამ და გამოიყენოს პროგრამის საფუძლად. საბჭოს წევრმა ასევე დააფიქსირა მოსაზრება, რომ წამყვანი ტელევიზიების ჟურნალისტებსაც კი სჭირდებოდათ კითხვის სწორად დასმის სწავლა და მნიშვნელოვანი იქნებოდა ამის შესწავლა. საბჭოს წევრი დაინტერესდა, პროგრამის ბიუჯეტის არ ქონა გამოწვეული ხომ არ იყო სტუდენტების არ ყოლით და არის თუ არა პროგრამა მდგრადი.

საბჭოს წევრმა, ნინო ჭალაგანიძემ აღნიშნა, რომ პროგრამაში იყო სავალდებულო სასწავლო კურსი „საინფორმაციო, ჰიბრიდული ომი და მედია“. საბჭოს წევრი დაინტერესდა თუ რამ განაპირობა სასწავლო კურსის ამგვარი ფორმულირება, როგორც სახელწოდებაში ასევე შინაარსში, რადგან ჰიბრიდული ომი მოიცავდა საინფორმაციო, კიბერ, სახმელეეთო, საზღვაო და საჰაერო ომებს, რამდენად იყო ეს საჭირო ჟურნალისტისთვის და საკმარისი ხომ არ იყო მხოლოდ საინფორმაციო ომების შესწვლა. ასევე „ინტერნეტი და მობილური ჟურნალისტიკა“, სადაც მობილური ჟურნალისტიკა საბჭოს წევრის თქმით იყო ერთი დიდი სფერო, რომელიც შესაძლებელია გამხადრიყო ერთი სამაგისტრო ნაშრომის თემა, შესაბამისად საბჭოს წევრის შეფასებით მობილური ჟურნალისტიკის ცალკე გატანა იქნებოდა უმჯობესი, ასევე ციფრული და ინტერნეტ მედია. საბჭოს წევრი დაინტერესდა თუ რამ განაპირობა სასწავლო კურსების ამგვარი ფორმულირება.

საბჭოს წევრი, გაიოზ ფარცხალაძე დაინტერესდა ხომ არ ფიქრობდნენ ინსტიტუციის წარმომადგენლები სასწავლო კურსები ცალკე გამოეტანათ და სატელეკომუნიკაციო სისტემების საფუძლები დაერქმიათ, რომელიც შეეხებოდა სატელეკომუნიკაციო აღჭურვილობის მიღება, დამუშავება და მსგავს საკითხებს. ასევე, დაშვების წინაპირობაში არ იყო განსაზღვრული თუ ვინ შეიძლება გახდეს მაგისტრატურის საფეხურის სტუდენტი.

დაწესებულების წარმოამდგენელმა, თამარ ტუფინაშვილმა განმარტა, რომ არცერთ პროგრამასა არ ქონდა საკუთარი ბიუჯეტი, რადგან ეს არის უნივერსიტეტის მიდგომა. თმცა, პროგრამა ნამდვილად იყო მდგარდი და ასევე დაფიქსირდა პერსონალის კმაყოფილება, იმასთან დაკავშირებით, რომ უნივერსიტეტი ასრულებდა ხელშეკრულებით გათვალისწინებულ პირობებს. სკოლის ბიუჯეტის უკან იდგა უნივერსიტეტის მდგარდი ბიუჯეტი. დაწესებულების წარმომაგდნელმა განმარტა, რომ მაგისტრატურის საფეხური იძლეოდა შესაძლებლობას სტუდენტმა შეცვალოს თავისი პროფესიდა განვითარების იმ მიმართულებით სადაც იქნება მისი ინტერესების სფერო, თუმცა უნივერსიტეტს აქვს საკმაოდ რთული, მისაღები გამოცდები, წინააღმდეგ შემთვევაში პროგრამა ვერ იქნებოდა ორიენტირებული იმაზე, რომ სტუდენტი და პროგრამა გავიდეს შედეგზე. უნივერსიტეტი უზრუნველყოფს მიიღოს შესაბამისი ცოდნის და უნარების მქონე სტუდენტი. აპლიკანტები აბარებენ ინგლისური ენის გამოცდას, რომელიც მოიცავს აბსოლიტურად ყველა კომპონენტს, რომელიც არის ენის სწავლებაში გათვალისწინებული და ასევე აბარებენ დარგობრივ გამოცდას, რომლის შესაძლო საკითხები გაფართებული სახით სტუდენტთა და აბიტურიენტთა ინფორმირების მიზნით იტვირთება ვებ-გვერდზე შესაბამისი ვადით. ბაზრის კვლევასთან დაკავშირებით, დაწესებულების წარმომადგენელმა განმარტა, რომ ბაზრის კვლევაშ კარგად იყო გამოკვეთილი პირდაპირი მოთხოვნები, თუ რას ითხოვდნენ ისინი, რომ სამაგისტრო საფეხუზე ისწავლებოდეს. მოთხოვნილი საგნების ძრითადი ჩამონათვალი გაითვალისწინა ინსტიტუციამ.

დაწესებულების წარმომადგენელმა, გიგლა გობეჩიამ ისაუბრა სილაბუსებთან დაკავშირებულ შეკითხვაზე და განმარტა, რომ მისი მოსაზრებით „საინფორმაციო ჰიბრიდული ომები და

მედია“ ჟურნალისტიკის ყველა ფაკულტეზე უნდა ისწავლებოდეს. ბოლო 30 წლის განმავლობაში ჩვენი ქვეყანა ჩართულია საინფორმაციო ომში, ამიტომ ამ ომის მოგერიება და წარმოება შესაძლებელია მხოლოდ და მხოლოდ მედიის საშუალებით. მედია არის ის ფორმატი, რომლის ფარგლებშიც ეს ხორციელდება. მსოფლიოს დამოკიდებულება ამ ყველაფრის მიმართ ცნობილია, ხოლო ჟურნალისტს რომელსაც არ ექნება ცოდნა ამსათან დაკავშირებით დაწესებულების წარმომადგენლის თქმით ვერ იქნება მედია ბაზრისთვის ნიშანდობლივი. დაწესებულების წარმომადგენლის თქმით, სილაბუსის სატაურში სიტყვა ჰიბრიდულის ჩამატება გამოწვეული იყო იმით, რომ ყველა ფრონტზე გაიშალა და მსოფლიოც ამ ტერმინს შეეგუა. გარდა ამისა სილაბუსში გათვალისწინებულია ტექნოლოგიების გამოყენება, რომელიც ასევე მედიის საშუალებით ხორციელდება. რაც შეეხება “ინტერნეტ და მობილურ ჟურნალისტიკას“ ძალაიან მაშტაბურია, ხოლო თანამედროვე თაობა აბსოლიტურად გადართულია მობილურზე, შესაბამისად ამისთვის გვერდით ავლა შეუძლებელია, თუმცა დაწესებულების წარმომადგენელმა განმარტა, რომ ეთანხმება ინტერენტი და მობილური ჟურნალისტიკის გამოყოფას.
საბჭოს წევრმა, ნინო ჭალაგანიძემ დააფიქსირა მოსაზრება, რომ კარგი იქნებოდა გამიჯნულიყო, ციფრული მედია და მობილური ჟურნალისტიკა, რადგან ეს აისახებოდა, როგორც კრედიტების რაოდენობაზე, ასევე ლიტერატურაზე.

სხდომაზე გამოცხადდა სათათბირო შესვენება
დაწყების დრო: 17:04
დასრულების დრო: 18:30

პირველი საკითხი:
აკრედიტაციის საბჭოს მიერ საგანმანათლებლო პროგრამის შეფასება და კენჭისყრა:
√ აკრედიტაციის საბჭომ ნაწილობრივ გაიზიარა ექსპერტთა დასკვნაში ასახული შეფასება.
კერძოდ სხდომის თავმჯდომარემ დამატებით განმარტა, რომ საბჭოს ზეპირ მოსმენაზე დაინტერესებული მხარეების მიერ წარმოდგენილი არგუმენტაციის ანალიზის საფუძველზე მიიჩნია, რომ აკრედიტაციის მეორე სტანდარტის 2.3 კომპონენტი, ნაცვლად „შესაბამისობაშია მოთხოვნებთან“, განსაზღვრა, როგორც „მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან“, რამაც არ გამოიწვია მეორე სტანდარტის ცვლილება. მესამე სტანდარტის 3.1 კომპონენტი, ნაცვლად „შესაბამისობაშია მოთხოვნებთან“, განსაზღვრა, როგორც „მეტწილად მოთხოვნებთან“, რამაც გამოიწვია მესამე სტანდარტის ცვლილება და მე-3 სტანდარტი ნაცვლად „შესაბამისია მოთხოვნებთან“ შეაფასა, როგორც „მეტწილად შესაბამისია მოთხოვნებთან“.

სხდომის თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა შპს საქართველოს დავით აღმაშენებლის სახელობის უნივერსიტეტის „ჟურნალისტიკის“ საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამის აკრედიტაციის საკითხი 7 წლის ვადით, ერთი წლის თავზე ანგარიშის წარმოდგენის პირობით.

კენჭისყრის შედეგი:
მომხრე - 13
წინააღმდეგი - 0

აკრედიტაციის საბჭომ ნაწილობრივ გაიზიარა ექსპერტთა მიერ გაცემული რეკომენდაციები და რჩევები და ჩამოაყალიბდა შემდეგი რედაქტირებით:
რეკომენდაციები:
1.რეკომენდირებულია პროგრამის მიზნებში აქცენტი გაკეთდეს ადგილობრივი შრომის ბაზრის სპეციალისტების მომზადებაზე.
2. რეკომენდირებულია რიგ სასწავლო კურსებში (რადიოჟურნალისტიკა, სატელევიზიო ჟურნალისტიკა და ა.შ) უფრო ფართოდ ჩაშენდეს პრაქტიკული კომპონენტი.

3. სასწავლო კურსი "საზოგადოებასთან ურთიერთობის საფუძვლები" განისაზღვროს სავალდებულო დისციპლინად.
4. რეკომენდირებულია პროგრამის სასწავლო კურსებში წარმოდგენილი რიდერები ეფუძნებოდეს თანამედროვე რელევანტურ (მათ შორის უხოენოვან) ლიტერატურას.
5. უსდ-მ უზრუნველყოს პროფილურ მედია ორგანიზაციებთან ურთიერთ-თანამშრომლობის მემურანდუმების გაფორმება.
6. რეკომენდირებულა დაცული იყოს საბაკალავრო ნაშრომისადმი წაყენებული საკვალიფიკაციო მოთხოვნები (სტრუქტურა, შინაარსი, ლიტერატურა და გაფორმების წესი).

რჩევები:

1. სასურველია პროგრამის სწავლის შედეგებში სრულად აისახოს თანამედროვე შრომის ბაზრის მოთხოვნები.
2. ექსპერტთა რჩევაა, "მედიის კვლევის მეთოდების" - მე-6-7 სემესტრში სწავლება. ასევე, სატელევიზიო პროგრამისა და სატელევიზო დოკუმენტალისტიკის სასწავლო კურსები გათვალისწინებულ იქნას ძირითადი სწავლის სფეროს არჩევით მოდულში.
3. გადაიხედოს სატელევიზიო დოკუმენტალისტიკის სასწავლო კურსის კრედიტების მოცულობა სასწავლო კურსის შედეგების და შინაარსის გათვალისწინებით.
4. კურსში "მედიის კვლევის მეთოდები" გაიზარდოს კვლევის მეთოდების და ტექნიკების ნაწილი, ხოლო თუ მედიის სტრუქტურული ანალიზი მნიშვნელოვანია, პროგრამაში შემოტანილ იქნეს არჩევითი კურსი "მედიის სოციოლოგია".
5. სასურველია პროგრამის არჩევით კომპონენტებში გაძლიერდეს დარგობრივი საკითხების სწავლება.
6. სტუდენტების, კურსდამთავრებულებისა და პერსონალის გამოკითხვის მეთოდოლოგიის დახვეწა, რათა ამ პროცედურამ ფორმალობის ნაცვლად რეალური ფუნქცია შეიძინოს.
7. სასურველია, პროგრამის მდგრადობის მეტი თვალსაჩინოებისთვის წარმოდგენილ იქნეს სრულად პროგრამული ბიუჯეტი.
8. სასურველია საგანმანათლებლო პროგრამის გარე შეფასება ხორციელდებოდეს ორი ან მეტი დამოუკიდებელი ექსპერტების ან/და სხვა (მათ შორის საერთაშორისო) გარე შემფასებლის მიერ.
9. სასურველია დაწესებულებამ სტუდენტთა აკადემიური მოსწრების რეგულარული ანალიზის საფუძველზე, საჭიროების შემთხვევაში მოახდინოს შესაბამისი რეაგირება პროგრამის დახვეწისა და განვითარებისთვის.
10. სასურველია დაწესებულებამ დადგენილი აქტივობების რეგულარულ განხორციელების საფუძველზე მოახდინოს აკადემიური პერსონალის სამეცნიერო-კვლევითი საქმიანობის რეგულარული შეფასება, პროგრამის განმახორციელებლი პერსონალის მოტივირებისა და განვითარების მიზნით.
11. სასურველია ანალოგიურ პროგრამებთან შედარების განხორციელების პროცესი მეტად იქნეს გაანალიზებული და დოკუმენტურად წარმოდგენილი.

გადაწყვეტილება:
„უმაღლესი განათლების შესახებ“ საქართველოს კანონის 66-ე მუხლის პირველი პუნქტის, მე-2 პუნქტის ,,ა“ ქვეპუნქტის, მე-3 პუნქტის, მე-3^1 პუნქტის, „განათლების ხარისხის განვითარების შესახებ“ საქართველოს კანონის 22-ე მუხლის პირველი პუნქტის, მე-2 პუნქტის „ა“ ქვეპუნქტის, მე-3 პუნქტის, 3^1 პუნქტის, აკრედიტაციის დებულების 27^2 მუხლის პირველი პუნქტის, 27^5 მუხ ლის პირველი პუნქტის „ა“ ქვეპუნქტის და მე-5 პუნქტის, 27^6 მუხლის პირველი პუნქტის „ბ“ ქვეპუნქტის, 33-ე მუხლის, „საჯარო სამართლის იურიდიული პირის - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის საქმისწარმოების წესისა და შინაგანაწესის დამტკიცების შესახებ” სსიპ - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის დირექტორის 2011 წლის 01 ივნისის N223 ბრძანების მე-8 მუხლისა და საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული

კოდექსის 53-ე მუხლის შესაბამისად, შპს საქართველოს დავით აღმაშენებლის სახელობის უნივერსიტეტის „ჟურნალისტიკის“ საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამას მიენიჭა აკრედიტაცია 7 წლის ვადით, ერთი წლის თავზე ანგარიშის წარმოდგენის პირობით.

მეორე საკითხი:
სხდომის თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა შპს საქართველოს დავით აღმაშენებლის სახელობის უნივერსიტეტის „ჟურნალისტიკის“ სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამის აკრედიტაციის საკითხი 7 წლის ვადით, ერთი წლის თავზე ანგარიშის წარმოდგენის პირობით.

კენჭისყრის შედეგი:
მომხრე - 13
წინააღმდეგი - 0

აკრედიტაციის საბჭოს მიერ საგანმანათლებლო პროგრამის შეფასება და კენჭისყრა:
√ აკრედიტაციის საბჭომ ნაწილობრივ გაიზიარა ექსპერტთა დასკვნაში ასახული შეფასება.
კერძოდ, სხდომის თავმჯდომარემ დამატებით განმარტა, რომ საბჭოს ზეპირ მოსმენაზე დაინტერესებული მხარეების მიერ წარმოდგენილი არგუმენტაციის ანალიზის საფუძველზე მიიჩნია, რომ 3.2. კომპონენტი, ნაცვლად „შესაბამისობაშია მოთხოვნებთან“, შეფასდა, როგორც „მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან“, თუმცა აღნიშნული კომპონენტის ცვლილებამ არ გამოიწვია მესამე სტანდარტის შეფასების ცვლილება.

აკრედიტაციის საბჭომ ნაწილობრივ გაიზიარა ექსპერტთა მიერ გაცემული რეკომენდაციები და რჩევები და ჩამოაყალიბდა შემდეგი რედაქტირებით:
რეკომენდაციები:
4.1. რეკომენდირებულია პროგრამის მიზნებში აქცენტი გაკეთდეს ადგილობრივი შრომის ბაზრის სპეციალისტების მომზადებაზე.
4.2. პროგრამის სწავლის შედეგების მესამე პუნქტის მისაღწევად არსებულ სასწავლო კურსებს დაემატოს შესაბამისი დისციპლინები, რომლებიც სწავლის შედეგის მიღწევას უზრუნველყოფს.
4.3. პროგრამის შინაარში აისახოს საგამოძიებო ჟურნალისტური საქმიანობისთვის საჭირო ცოდნისა და უნარების დაუფლება, რაც ხელს შეუწყობს კურსდამთავრებულთა პროფილით დასაქმებას.
4.4. ტელე-რადიო კომუნიკაციის თეორია და პრაქტიკის სასწავლო კურსის შინაარსში მეტი ყურადღება დაეთმოს პრაქტიკული უნარების განვითარებას.
4.5. თანამედროვე მოთხოვნებთან სასწავლო კურსისა და ზოგადად პროგრამის შესაბამისობის უზრუნველყოფის მიზნით, სასწავლო კურსების სილაბუსებში ლექტორთა მიერ მომზადებულ რიდერებთან ერთად, ძირითად და/ან დამხმარე სახელემძღვანელოებად შეთავაზებულ იქნას თანამედროვე რელევანტური უცხოენოვანი ლიტერატურა (კურსის შინაარსისა და სპეციფიკის გათვალისწინებით).
4.6. რეკომენდირებულია, დაზუსტდეს რიგი სასწავლო კუსების (საინფორმაციო -ჰიბრიდული ომი და მედია“, „ინტერნეტი და მობილური ჟურნალსიტიკა“) სახელწოდება შინაარსთან შესაბამისობაში.
4.7. უსდ-მ უზრუნველყოს პროფილურ მედიაორგანიზაციებთან ურთიერთთანამშრომლობის მემურანდუმების გაფორმება.
4.8. რეკომენდირებულია, სამაგისტრო ნაშრომებზე მუშაობის პროცესში საერთაშორისო ელექტრონული ბაზების/ თანამედროვე ლიტერატურის გამოყენება; სამაგისტრო ნაშრომების გაფორმების წესების სრულყოფილად დაცვა.

რჩევები:

1. ექსპერტთა, რჩევაა პროგრამის არჩევით მოდულს დაემატოს მარავალფეროვანი ინტერდისციპლინური სასწავლო კურსები.
2. პროგრამაში გაძლიერდეს პრაქტიკული კომპონენტი (სამაუწყებლო და ბეჭდური ჟურნალისტიკის კუთხით), რაც უზრუნველყოფს სტუდენტის მომზადებას ყველა სახის მედიაპლატფორმისთვის თანაბარი სიძლიერის პროფესიონალური კონტენტის შესაქმნელად.
3. ექსპერტთა რჩევაა, სტუდენტების, კურსდამთავრებულებისა და პერსონალის გამოკითხვის მეთოდოლოგიის დახვეწა.
4. სასურველია, პროგრამის მდგრადობის მეტი თვალსაჩინოებისთვის წარმოდგენილ იქნეს სრულად პროგრამული ბიუჯეტი.
5. სასურველია საგანმანათლებლო პროგრამის გარე შეფასება ხორციელდებოდეს ორი ან მეტი დამოუკიდებელი ექსპერტების ან/და სხვა (მათ შორის საერთაშორისო) გარე შემფასებლის მიერ.
6. სასურველია დაწესებულებამ სტუდენტთა აკადემიური მოსწრების რეგულარული ანალიზის საფუძველზე, საჭიროების შემთხვევაში მოახდინოს შესაბამისი რეაგირება პროგრამის დახვეწისა და განვითარებისთვის.
7. სასურველია დაწესებულებამ დადგენილი აქტივობების რეგულარულ განხორციელების საფუძველზე მოახდინოს აკადემიური პერსონალის სამეცნიერო-კვლევითი საქმიანობის რეგულარული შეფასება, პროგრამის განმახორციელებლი პერსონალის მოტივირებისა და განვითარების მიზნით.
8. სასურველია ანალოგიურ პროგრამებთან შედარების განხორციელების პროცესი მეტად იქნეს გაანალიზებული და დოკუმენტურად წარმოდგენილი.

გადაწყვეტილება:
„უმაღლესი განათლების შესახებ“ საქართველოს კანონის 66-ე მუხლის პირველი პუნქტის, მე-2 პუნქტის ,,ა“ ქვეპუნქტის, მე-3 პუნქტის, მე-3^1 პუნქტის, „განათლების ხარისხის განვითარების შესახებ“ საქართველოს კანონის 22-ე მუხლის პირველი პუნქტის, მე-2 პუნქტის „ა“ ქვეპუნქტის, მე-3 პუნქტის, 3^1 პუნქტის, აკრედიტაციის დებულების 27^2 მუხლის პირველი პუნქტის, 27^5 მუხ ლის პირველი პუნქტის „ა“ ქვეპუნქტის და მე-5 პუნქტის, 27^6 მუხლის პირველი პუნქტის „ბ“ ქვეპუნქტის, 33-ე მუხლის, „საჯარო სამართლის იურიდიული პირის - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის საქმისწარმოების წესისა და შინაგანაწესის დამტკიცების შესახებ” სსიპ - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის დირექტორის 2011 წლის 01 ივნისის N223 ბრძანების მე-8 მუხლისა და საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 53-ე მუხლის შესაბამისად, შპს საქართველოს დავით აღმაშენებლის სახელობის უნივერსიტეტის „ჟურნალისტიკის“ სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამას მიენიჭა აკრედიტაცია 7 წლის ვადით, ერთი წლის თავზე ანგარიშის წარმოდგენის პირობით.

18:04 საათზე საბჭოს შემოუერთდა გიორგი ღაღანიძე.

მესამე საკითხი: სსიპ - საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის „საერთაშორისო ურთიერთობების“ საბაკალვრო საგანმანათლებლო პროგრამის აკრედიტაციის საკითხის განხილვა;

№	**ინფორმაციასაგანმანათლებლოპროგრამისშესახებ**	
1	საგანმანათლებლო პროგრამის დასახელება	საერთაშორისო ურთიერთობები
2		-

	ერთობლივი უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამა	
3	სტატუსი	აკრედიტებული
4	სტატუსის გათვალისწინებით, საბჭო(ებ)ს გადაწყვეტილების თარიღი და ნომერი	საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის საბჭოს 2012 წლის 24 სექტემბრის №450 გადაწყვეტილებით
5	ხელახალი აკრედიტაციის შემთხვევაში საგანმანათლებლო პროგრამის წინა დასახელება	საერთაშორისო ურთიერთობები
6	უმაღლესი განათლების საფეხური	ბაკლავრიატი
7	დაშვების წინაპირობები	-
8	კვალიფიკაციის დონე	მეექვსე დონე
9	კვალიფიკაციის დასახელება	საერთაშორისო ურთიერთობების ბაკალავრი
10	ზოგადი განათლების შესაბამისი საფეხურის საგნის/საგნების/საგნობრივი ჯგუფის სწავლების უფლების მითითებით	-
11	დეტალური სფეროს დასახელება და კოდი (ISCED – F – 2013)	პოლიტიკური მეცნიერებები და მოქალაქეობრიობის საფუძვლები - 0312
12	სწავლების ენა	ქართული
13	ECTS კრედიტების ჯამური რაოდენობა	240
14	განხორციელების ადგილი	მ. კოსტავას 77, თბილისი VI კორპუსი, 0171, საქართველო
15	მსჯავრდებულ აბიტურიენტთა საგანმანათლებლო პროგრამაზე სწავლა-სწავლების უფლებამოსილება	-

საგანმანათლებლო დაწესებულების მიერ საბჭოს წევრ(ებ)ის აცილება

√ არა

საბჭოს წევრ(ებ)ის თვითაცილება

√ დიახ

თვითაცილება განაცხადეს ელიზბარ ელიზბარაშილმა, ნინო იმნაძემ და დავით კაპანაძემ თვითაცილების საფუძველს წარმოადგენდა შრომითი ხელშეკრულების არსებობა დაწესებულებასთან.

საბჭოს თავმჯდომარემ საბჭოს წევრებს მიმართა დაედასტურებინათ, რომ იცნობდნენ უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების მიერ წარმოდგენილ თვითშეფასებას, აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნასა და საგანმანათლებლო პროგრამის ექსპერტთა დასკვნის პროექტზე დაწესებულების მიერ წარმოდგენილ არგუმენტირებულ პოზიციას. საბჭოს წევრებმა დაადასტურეს, რომ იცნობდნენ საქმის მასალებს.

საბჭოს თავმჯდომარემ ჰკითხა დაინტერესებული მხარის (საგანმანათლებლო დაწესებულების) წარმომადგენელს, იცნობდა თუ არა აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას. წარმომადგენელ(ებ)მა დაადასტურა, რომ იცნობდ(ნენ)ა აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას.

მესამე საკითხის ზეპირი მოსმენა

ექსპერტების პოზიციის განხილვა

საბჭოს თავმჯდომარემ სთხოვა ექსპერტთა ჯგუფს წარმოედგინათ მათი პოზიცია.

ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარემ, ივანა მაჩიტიძემ აღნიშნა, რომ ვიზიტი განხორციელდა 14 აგვისტოს, სსიპ - საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის „საერთაშორისო ურთიერთობების“ საბაკალვრო საგანმანათლებლო პროგრამის რეაკრედიტაციის მიზნით.

ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარემ საბჭოს გააცნო დასკვნაში დაფიქსირებული რეკომენდაციები:

1. რეკომენდებულია, უნარების და ავტონომიურობის/პასუხისმგებლობის ნაწილში სწავლის შედეგების მიღწევის შეფასების შემთხვევაში, პრაქტიკა და საბაკალავრო ნაშრომი ამოღებული იქნას, როგორც შეფასების ერთ-ერთი მეთოდი. იმ შემთხვევაში, თუ პროგრამის განვითარებაში ჩართული პერსონალი მიიჩნევს აღნიშნული კომპონენტების დატოვების აუცილებლობას, ორივე კომპონენტი უნდა გახდეს სავალდებულო პროგრამისთვის.
2. სასწავლო კურსებით გათვალისწინებული შინაარსის უფრო ეფექტიანი ათვისებისათვის, დაზუსტდეს დაშვების წინაპირობები რიგი საგნების შემთხვევაში, როგორიცაა: საერთაშორისო უსაფრთხოების სასწავლო კურსის შემთხვევაში წინაპირობად დაემატოს საერთაშორისო ურთიერთობების თეორია, კონფლიქტების ანატომია - შესავალი 6 საერთაშორისო ურთიერთობებში; პოსტსაბჭოთა ქვეყნების პოლიტიკა - შესავალი პოლიტიკის მეცნიერებაში; ტრანსფორმაციული პროცესები აღმოსავლეთ ევროპის ქვეყნებში - გლობალური პოლიტიკა; პოლიტიკური კომუნიკაციები - შესავალი პოლიტიკის მეცნიერებაში; ჩინეთის საგარეო პოლიტიკა - გლობალური პოლიტიკა; თურქეთის საგარეო პოლიტიკა - გლობალური პოლიტიკა.
3. რეკომენდებულია, პროგრამის სასწავლო კურსების ფარგლებში პრაქტიკული კომპონენტის გაძლიერება შემთხვევების შესწავლით, სიმულაციებით, მოდელირებებით, დარგისთვის რელევანტური დოკუმენტების შედგენით და ა.შ., პროგრამის მიერ სწავლის შედეგების უზრუნველყოფის მიზნით.

საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა დაწესებულების წარმომადგენლებს დაეფიქსირებინათ საკუთარი პოზიცია.

დაწესებულების წარმომადგენელმა, დავით მახვილაძემ აღნიშნა, რომ ექსპერტთა ჯგუფის დასკვნა იყო ობიექტური და მნიშვნელოვანი. პირველ რეკომენდაციასთან დაკაავშირებით დაწესებულების წარმომადგენელმა. განმარტა, რომ ეთანხმებიდა ინსტიტუცია აღნიშნულს, თუმცა ჯერ კიდევ განხილვის საგანი იყო. მისი თქმით, ერთის მხრივ მიუხედავად იმისა, რომ არჩევითია საბაკალვრო ნაშრომი და პრაქტიკა, უნარების და პასუხისმგებლობა ავტონომიის ნაწილში მათი, როგორც ინსტრუმენტების გამოყენება მნიშვნელოვნად მიაჩნია ინსტიტუციას. აქედან გამომდინარე ინსტიტუცია არ ირჩევს მარტივ მხარეს, რომ სწავლის შედეგების შეფასების მექანიზმიდან ამოიღონ. დაწესებულების წარმომადგენლის განმარტებით ინსტიტუცია განიხილავს, რამდენიმე ვერსიას და აუცილებლად მივლენ ოპტიმალურ შედეგებამდე. მეორე რეკომენდაციასთან დაკავშრებით, დაწესებულების წარმომადგენელმა აღნიშნა, რომ „ჩინეთის საგარეო პოლიტიკა“ და „თურქეთის საგარეო პოლიტიკა“ რომლის წინაპირობად ექსპერტებმა მიუთითეს, რომ „გლობალური პოლიტიკა უნდა ყოფილიყო“, რასაც დაწესებულების წარმომადგენლის თქმით ინსტიტუცია აცნობიერებს და ეთანხმება. თუმცა დეპარტამენტმა განიცადა რეორგანიზაცია, ევროპის მცოდნეობა იტერდისცილინური მიმართულება შეიერთა აღნიშნულმა მიმართულებამ და გუნდი ამ მიმართულებით კვლავ გააგრძელებს მუშაობას. მესამე რეკომენდაციასთან დაკავშირებით დაწესებულების წარმომადგენელმა განმარტა, რომ ინსტიტუცია მაქსიმალურად ეცადა, არამხოლოდ რეაკრედიტაციის მიზნებისთვის, არამედ წინარე პერიოდშიც განხორციელებული მოდიფიცირების ფარგლებშიც პრაქტიკული კომპონენტი მაქსიმალურად დიდი დოზით შეეტანათ სასწავლო კურსებში და ამ მიმართულებით კვლავ გაგრძელდება მუშაობა, ხოლო რაც შეეხება სპეციფიკის გათვალისწინებას, მათ შორის მეთოდების გამოყენებას, როგორც ცოდნის

გადაცემის შეფასების კუთხით ინსტიტუცია იზიარებს ექსპერტების დამოკიდებულებას, თუმცა გარკვეულწილად ის კომპონენტი, რომელიც აუცილებელია კვალიფიკაციის მინიჭებისათვის, სტუდენტი ამ მიმართულებით უზრუნველყოფილია. დაწესებულების წარმომადგენელმა, ასევე აღნიშნა, რომ მნიშვნელოვანი იყო ექსპერტთა რჩევები და ინსტიტუციამ საუნივერსიტეტო მაშტაბით შეცვალა დამოკიდებულება სხვადასხვა საკითების მიმართ, მათ შორის იყო შრომის ბაზრის ანალიზის მეთოდოლოგიის დახვეწა, უცხოურ ენასთან დაკავშირებული საკითხების სრული რეფორმირება.

საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა საბჭოს წევრებს წარმოედგინათ მოსაზრებები.

საბჭოს წევრმა, გიორგი ღაღანიძემ აღნიშნა, რომ შრომის ბაზრის კვლევის მეთოდოლოგია გაუმჯობესებული იყო, მაგრამ 2017,2018, 2019 წლის მონაცემები რელევანტურ სურათს მოკლებული იყო, რადგან პრაქტიკულად ყველაფერი იქნებოდა შეცვლილი. საბჭოს წევრის მოსაზრებით, შრომის ბაზრის კვლევის მეთოდოლოგია კიდევ უფრო მეტად უნდა დაიხვეწოს, რათა უფრო რელევანტური. სასწავლო კურსი „საერთაშორისო ეკონომიკური ურთიერთობები"-თან დაკავშირებით საბჭოს წევრი დაინტერესდა, თუ რამდენად იყო შესაძლებელი ერთი დისციპლინის სწავლება ყველანაირი წინაპირობების გარეშე. მისი თქმით, იყო ჩამონათვალში არჩევითი დისციპლინა „ეკონომიკის პრინციპები", რომელიც შესაძლებელია განიხილულიყო, როგორც პრერეკვიზიტი, ხოლო შემდგომ სტუდენტისათვის შესაძლებელი იქნებოდა „საერთაშორისო ეკონომიკური ურთიერთობის" დაძლევა.

საბჭოს წევრმა, ეკატერინე ნაცვლიშვილმა აღნიშნა, რომ მესამე რჩევის სახით იყო ფორმულირებული „სასურველია, პროგრამის როგორც სავალდებულო, ასევე, არჩევით სასწავლო კურსებში გამოყენებული შეფასების კომპონენტების შესაბამისობაში მოყვანა თითოეული საგნის სწავლის შედეგების მიერ გათვალისწინებულ მოთხოვნებთან და სასწავლო კურსის შინაარსის სპეციფიკასთან." საბჭოს წევრი დაინტერესდა შინაარსის გათვალისწინებით რამდენად იყო აღნიშნული რჩევა და არა რეკომენდაცია. ასევე, მისი თქმით ბუნდოვანი იყო მე-7 რჩევის არსი „სასურველია, საერთაშორისო ურთიერთობების ქართულენოვანი საბაკალავრო პროგრამის სწავლება-სწავლის მეთოდების შესაბამისობაში მოყვანა თითოეული სასწავლო კურსის შეფასების კომპონენტებთან, რათა უზრუნველყოფილი იყოს სასწავლო კურსის შინაარსის სტუდენტთა მიერ ეფექტიანი ათვისება და მიღებული ცოდნის სათანადო შეფასება ლექტორის მიერ. საჭიროა შეფასების კომპონენტების და სწავლება-სწავლის მეთოდების მეტი მრავალფეროვნება და ინდივიდუალურად მორგება თითო სასწავლო კურსის შემთხვევაში."

საბჭოს წევრი, მაკა კაჭარავა დაინტერესდა თუ რამ განაპირობა, ის რომ სამაგისტრო ნაშრომს და პრაქტიკას ჰქონდა არჩევითი სტატუსი და რომელისა საგნები, რომლებიც აბალანსებენ აღნიშნულ დანაკლისს.

საბჭოს თავმჯდომარემ აღნიშნა, რომ სპეციალობის სავალდებულო კურსებში (მაგ: საერთაშორისო ეკონომიკური ურთიერთობები და ა.შ) ყველა შეფასება იყო გამოკითვებით ან დისკუსიით. საბჭოს თავმჯდომარე დაინტერესდა რამდენად მართებული იყო, რომ სავალდებულო კურსების გარკვეულ რაოდენობაში შეფასების კომპონენტები იყო აბსოლიტურად იდენტური.

ექსპერტთა ჯგუფის თავმჯომარემ, ივანა მაჩიტიზემ უპასუხა შეკითხევბს და განმარტა, რომ მე-3 და მე-7 რჩევები იყო ლოგიკურ ბმაში, რადგან ვიზიტის ფარგლებში ექსპერტთა გუნდის მიერ შემოწმებულ სილაბუსებში აღმოჩნდა, რომ იყო ერთგვარი შეფასების კომპონენეტები, რომლებიც უზღუდავდნენ სტუდენტს შესაბამის შედეგებზე გასვლას. ექსპერტთა თავმჯდომარის განმარტებით იგივე შეეხებოდა სწავლა სწავლების მეთოდებს. მისი მოსაზრებით, საჭირო იყო უფრო მეტი მრავალფეროვნება და ნაკლებად სტანდარტული მიდგომა. სწორედ ამიტომ გადაწყვიტა ექსპერტთა ჯგუფმა, აღნიშნულს საკითხს ჰქონოდა რჩევის სახე და არა რეკომენდაციის, რადგან პრობლემა არ იყო უნივერსალური, თუმცა რამდენიმე სასწავლო კურსში მრავალფეროვნება იყო საჭიირო, მეტი ეფექტიანობისათვის.

დაწესებულების წარმომადგენელმა, მარიამ ჯიქიამ უპასუხა შეკითხვებს და აღნიშნა, რომ რეალურად „საერთაშორისო საჯარო სამართალი“-ის საგანი იურისტებისათვის სხვაგვარად ისწავლებოდეს, ხოლო არა იურისტებისათვის სხვანაირად. განსხვავებულია თემატიკა, შეფასების მეთოდები, მიზნები და შედეგები. დაწესებულების წარმომადგენლის თქმით, თავად იყო აღნიშნული სასწავლო კურსის ავტორი და საერთაშორისო ურთიერთობების პროგრამაზე მიზნები და შედეგები, ისე ჰქონდა გაწერილი, რომ არაიურისტმა თუ რა უნდა გამოიყენოს თავის სპეციალობაში ამ კუთხით იმაზე იყო საუბრი. მისი თქმით, სასწავლო კურისის შეფასებები არ იყო ერთგავროვანი, იყო როგორც დისკუსია, ასევე პროექტი, რომელიც როგორც წერილობით, ასევე წერით ნაწილში ფასდება. დაწესებულების წარმომადგენლის თქმით, პროგრამაზე იყო საგნები, რომლებშიც პრაქტიკული კომპონენტები კარგად იყო წარმოჩენილი (სიმულაციური თამაშები, მოდელირებები). ზეპირი გამოკითხვები და დისკუსიების შეფასებები იყო განსხვავებული და კრიტერიუმებიც გაწერილი იყო სილაბუსში. დაწესებულების წარმოამდგენლის თქმით, იყო საგნები, რომლებიც იძლეოდა თავის შედეგებზე გასვლისთვის ისეთი შედეგების გამოყენებას, რომელიც უფრო პრაქტიკულ კომპონენტებს მოიცავდა. დაწესებულების წარმომადგენელმა, ასევე განმარტა, რომ შრომის ბაზრის კვლვას ნამდვილად ჭირდებოდა დახვეწა, თუმცა უნივერსიტეტის ადმინისტრაცია აქტიურად ზრუნავდა ამაზე და ფაქტობრივად განსხვავებული სახით შემოვიდოდა. პრობლემა მდგომარობდა იმაში, რომ ინსტიტუცია დაეყრდნო ბოლო სამი , წლის მონაცემებს.

დაწესებულების წარმომადგენელმა დავით მახვილაძემ „საერთაშორისო ეკონომიკურ ურთიერთობების“ კურსის წინაპირობებთან დაკავშირებით აღნიშნა, რომ ინსტიტუციის წარმომადგენლები აბსოლიტურად ეთანხმებოდნენ აღნიშნულ რეკომენდაციას. მისი თქმით აღნიშნული საკითხი ასევე იყო ექსპერტთა ჯგუფის რეკომენდაციებში, თუმცა გამომდინარე იქიდან სასწავლო კურსი იყო არჩევითი, ის ამოვიდა რეკომენდაციებიდან.

ნაშრომთან და პრაქტკასთან დაკავშირებით, დაწესებულების წარმომადგენელმა, მარიამ ჯიქიამ განმარტა, რომ როდესაც სწავლის შედეგების შეფასების დოკუმენტი მომზადდა, რომლის საფუძველზეც არამხოლოდ ცოდნა, არამედ უნარები, ავტონომიურობა, პასუხისმგებლობა ფასდებოდა, გამომდიანრე იქიდან, რომ დეპარტამენტმა, რომელიც მუსაობდა პროგრამაზე თვით შეფასების გუნდთან ერთად დადო ის პროგრამა, რომელშიც საბაკლავრო ნაშრომი და ორაქტიკა იყო არა სავალდბულო, არამედ არჩევითი კომპონენტი. დაწესებულების წარმომადგენლის თქმით, თავად, როგორც ხარისხის უზურუნველყოფის სამსახურის წარმომადგენელმა, მოამზადა დოკუმენტი. მაგრამ საბაკალავრო ნაშრომი და პრაქტიკა არ იყო ძირითადი განმსაზღვრელი, უბრალოდ ჩამონათვალში იყო ერთ-ერთი. კომპონენტები ფასდებოდა ასევე ესეთი, რეფერატით და საშინაო დავალებით. რაც შეეხება პრაქტიკას, გაწერილია ასევე ის აქტივობები, რომელიც პრაქტიკულ კომპონენტს ავითარებს მაგალითად: მოდელირება, სიმულაციური და როლური თამაშები და ა.შ. დაწესებულების წარმომადგენლის თქმით, მიმდინარეობდა ამ საკითხზე მუშაობა და განიხილებოდა თუ რა შეიძლება შეიცვალოს ისე, რომ აღნიშნული ორი კომპონენტი შესაძლებელია სავალდბულო გახდეს. თუმცა საბოლოო შედეგეს დეპარტემენტი მსჯელობის შემდგომ მიიღებს.

დაწესებულების წარმომადგენლის, დავით მახვილაძის თქმით, საბაკალავრო ნაშრომის და პრაქტიკის არჩევითობა ერთგვარი ექსპერიმენტული გადაწყვეტილება იყო, პროგრამის შემქნელი და განმახორციელებული ჯგუფის მიერ. აღნიშნული საკითხი სწავლის შედეგებსა და მიზნებთან დაკავშრებით გაანალიზა ხარისხის სამსახურმა და მათი მოსაზრებით აბსოლიტურად გამართლებული და ნორმალური იყო წარმოადგენილი ვერსია. თუმცა მისი თქმით როდესაც სწავლის შედეგების შეფასების მექანიზმთან მიმართებაში ექსპერტების მხრიიდან გაჩნდა შეკითხვა ინსტიტუციამ გადაწყვიტა, რომ განეხილა აღნიშნული საკითხი.

სხდომაზე გამოცხადდა სათათბირო შესვენება

დაწყების დრო: 19:05

დასრულების დრო: 19:25

აკრედიტაციის საბჭოს მიერ საგანმანათლებლო პროგრამის შეფასება და კენჭისყრა:
√ აკრედიტაციის საბჭომ ნაწილობრივ გაიზიარა ექსპერტთა დასკვნაში ასახული შეფასება.
კერძოდ, სხდომის თავმჯდომარემ დამატებით განმარტა, რომ საბჭოს ზეპირ მოსმენაზე დაინტერესებული მხარეების მიერ წარმოდგენილი არგუმენტაციის ანალიზის საფუძველზე მიიჩნია, რომ აკრედიტაციის მეორე სტანდარტის 2.3. და 2.6. კომპონენტი, ნაცვლად „შესაბამისობაშია მოთხოვნებთან“, შეფასდა, როგორც „მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან“, თუმცა აღნიშნული კომპონენტის ცვლილებამ არ გამოიწვია მეორე სტანდარტის შეფასების ცვლილება.

სხდომის თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა სსიპ - საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის „საერთაშორისო ურთიერთობების“ საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამის აკრედიტაციის საკითხი 7 წლის ვადით, 6 თვის თავზე ანგარიშის წარმოდგენის პირობით.

კენჭისყრის შედეგი:
მომხრე - 11
წინააღმდეგი - 0

აკრედიტაციის საბჭომ ნაწილობრივ გაიზიარა ექსპერტთა მიერ გაცემული რეკომენდაციები და რჩევები ჩამოაყალიბდა შემდეგი რედაქტირებით:
რეკომენდაციები:
1. რეკომენდებულია, უნარების და ავტონომიურობის/პასუხისმგებლობის ნაწილში, სწავლის შედეგების მიღწევის შეფასების შემთხვევაში, პრაქტიკა და საბაკალავრო ნაშრომი ამოღებულ იქნას, როგორც შეფასების ერთ-ერთი მეთოდი. იმ შემთხვევაში, თუ პროგრამის განვითარებაში ჩართული პერსონალი მიიჩნევს აღნიშნული კომპონენტების დატოვების აუცილებლობას, ორივე კომპონენტი უნდა გახდეს სავალდებულო პროგრამისთვის.
2. რეკომენდირებულია, საგნებით გათვალისწინებული შინაარსის უფრო ეფექტიანი ათვისებისათვის, დაზუსტდეს დაშვების წინაპირობები რიგი სასწავლო კურსების შემთხვევაში.
3. რეკომენდირებულია პროგრამის როგორც სავალდებულო, ასევე, არჩევით სასწავლო კურსებში გამოყენებული შეფასების კომპონენტების შესაბამისობაში მოყვანა თითოეული საგნის სწავლის შედეგების მიერ გათვალისწინებულ მოთხოვნებთან და სასწავლო კურსის შინაარსის სპეციფაკასთან.
4. რეკომენდებულია, პროგრამის სასწავლო კურსების ფარგლებში პრაქტიკული კომპონენტის გაძლიერება შემთხვევების შესწავლით, სიმულაციებით, მოდელირებებით, დარგისთვის რელევანტური დოკუმენტების შედგენით პროგრამის მიერ სწავლის შედეგების უზრუნველყოფის მიზნით.
5. რეკომენდირებულია პროგრამის რიგ სავალდებულო და არჩევით სასწავლო კურსებში გამოყენებული შეფასების კომპონენტების შესაბამისობაში მოყვანა თითოეული საგნის სწავლის შედეგების მიერ გათვალისწინებულ მოთხოვნებთან და სასწავლო კურსის შინაარსის სპეციფიკასთან.

რჩევები:

1. სასურველია, შრომის ბაზრის ანალიზის მეთოდოლოგია დაიხვეწოს, რათა უფრო ნათლად გამოიკვეთოს არამხოლოდ ტრანსფერული უნარები, არამედ ის დარგობრივი ცოდნა და უნარები, რომლებსაც საკვანძო როლი გააჩნიათ კურსდამთავრებულთა წარმატებულ დასაქმებაში.

2. სასურველია, უცხო ენების კომპონენტში დონეების დაზუსტება, რადგან არჩევითი კომპონენტის ფარგლებში შემოთავაზებული ინგლისური, ფრანგული, გერმანული, ჩინური და რუსული ენების სასწავლო კურსების დონეები (A1.1., A1.2., A2.1., A2.2.) სავალდებულო უცხო ენებზე (B1.1., B1.2., B2.1., B2.2.) დაბალია.
3. სასურველია, სასწავლო კურსის ფარგლებში სავალდებულო და არჩევითი ლიტერატურის ჩამონათვალი გაიწეროს კვირების მიხედვით, და არა მხოლოდ სასწავლო კურსის სილაბუსის ბოლოს.
4. სასურველია, სასწავლო კურსების ფარგლებში დაზუსტდეს შუალედური გამოცდის ჩატარების კვირა.
5. სასურველია, საბაკალავრო ნაშრომის სილაბუსში დეტალურად გაიწეროს ნაშრომის შემადგენელი კომპონენტები, როგორიცაა პრობლემის აღწერა, საკვლევი შეკითხვა, მეთოდოლოგია და ა.შ.
6. სასურველია, საერთაშორისო ურთიერთობების ქართულენოვანი საბაკალავრო პროგრამის სწავლება-სწავლის მეთოდების გამრავალფეროვნება სასწავლო კურსის სპეციფიკის გათვალისწინებით.
7. სასურველია, მსგავსი ტიპის საკითხების დოკუმენტირებისას მიეთითოს თარიღები, რაც საშუალებას მისცემს შემფასებლებსა და ჩართულ პირებს, მოახდინოს ჩატარებული გამოკითხვებისა და ანალიზის პერიოდის იდენტიფიცირება.
8. სასურველია, გამოკითხვის შედეგების ანალიზიდან გამომდინარე განხორციელებული ან დაგეგმილი ღონისძიებები თავს იყრიდეს ერთიან დამოუკიდებელ რეაგირების ანგარიშში.
9. სასურველია, ინსტიტუციის მხრიდან სტუდენტთა აკადემიური მოსწრების ანალიზის კვლევა განხორციელდეს წინასწარ დადგენილი პერიოდულობით და მიღებული შედეგები გაანალიზდეს ერთიანი ანგარიშის სახით.
10. სასურველია დაინტერესებულ მხარეთა გამოკითხვის ანგარიშებში მკაფიოდ იკვეთებოდეს თუ რა კუთხით მოხდა გამოკითხვებით მიღებული შედეგების ანალიზის საფუძველზე გამოკვეთილი გარემოებების გამოსწორება და რამდენად მოხმარდა ეს საგანმანათლებლო პროგრამების განვითარებას, აკადემიური პერსონალის მიერ სწავლების პოლიტიკის გადახედვას და სრულყოფას, გასაუმჯობესებელი მხარეების გამოსწორებას და შესაბამისი აქტივობების დაგეგმვას.
11. პროგრამის მონიტორინგისა და პერიოდული შეფასების მიზნით, აკრედიტაციის სტანდარტის მოთხოვნათა მიხედვით, სასურველია, პერიოდულად განხორციელდეს პროგრამის დადარება უცხოური უნივერსიტეტების ანალოგიურ პროგრამებთან და, პროგრამის თანამედროვე მოთხოვნებთან შესაბამისობაში მოყვანის მიზნით, გამოყენებული იყოს საუკეთესო საერთაშორისო პრაქტიკა.

გადაწყვეტილება:

„უმაღლესი განათლების შესახებ“ საქართველოს კანონის 66-ე მუხლის პირველი პუნქტის, მე-2 პუნქტის ,,ა“ ქვეპუნქტის, მე-3 პუნქტის, მე-3^1 პუნქტის, „განათლების ხარისხის განვითარების შესახებ“ საქართველოს კანონის 22-ე მუხლის პირველი პუნქტის, მე-2 პუნქტის „ა“ ქვეპუნქტის, მე-3 პუნქტის, 3^1 პუნქტის, აკრედიტაციის დებულების 27^2 მუხლის პირველი პუნქტის, 27^5 მუხ ლის პირველი პუნქტის „ა“ ქვეპუნქტის და მე-5 პუნქტის, 27^6 მუხლის პირველი პუნქტის „ბ“ ქვეპუნქტის, 33-ე მუხლის, „საჯარო სამართლის იურიდიული პირის - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის საქმისწარმოების წესისა და შინაგანაწესის დამტკიცების შესახებ” სსიპ - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის დირექტორის 2011 წლის 01 ივნისის N223 ბრძანების მე-8 მუხლისა და საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 53-ე მუხლის შესაბამისად, სსიპ - საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის „საერთაშორისო ურთიერთობების“ საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამას მიენიჭა აკრედიტაცია 7 წლის ვადით, ექვსი თვის თავზე ანგარიშის წარმოდგენის პირობით.

4. მეოთხე საკითხი: სსიპ - საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის "საინჟინრო ფიზიკის" სადოქტორო საგანმანათლებლო პროგრამაზე წარმოდგენილი ანგარიშის განხილვა.

№	**ინფორმაციასაგანმანათლებლოპროგრამისშესახებ**	
1	საგანმანათლებლო პროგრამის დასახელება	საინჟინრო ფიზიკა
2	ერთობლივი უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამა	-
3	სტატუსი	აკრედიტირებული
4	სტატუსის გათვალისწინებით, საბჭო(ებ)ს გადაწყვეტილების თარიღი და ნომერი	საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის საბჭოს 2021 წლის 25 მარტის № 285935 გადაწყვეტილება
5	ხელახალი აკრედიტაციის შემთხვევაში საგანმანათლებლო პროგრამის წინა დასახელება	-
6	უმაღლესი განათლების საფეხური	დოქტორანტურა
7	დაშვების წინაპირობები	-
8	კვალიფიკაციის დონე	მერვე
9	კვალიფიკაციის დასახელება	საინჟინრო ფიზიკის დოქტორი
10	ზოგადი განათლების შესაბამისი საფეხურის საგნის/საგნების/საგნობრივი ჯგუფის სწავლების უფლების მითითებით	-
11	დეტალური სფეროს დასახელება და კოდი (ISCED – F – 2013)	0719 ინჟინერია და საინჟინრო საქმე – არაკლასიფიცირებული
12	სწავლების ენა	ქართული
13	ECTS კრედიტების ჯამური რაოდენობა	50
14	განხორციელების ადგილი	საქართველო, 0160, თბილისი, მერაბ კოსტავას გამზირი № 77
15	მსჯავრდებულ აბიტურიენტთა საგანმანათლებლო პროგრამაზე სწავლა-სწავლების უფლებამოსილება	-

საგანმანათლებლო დაწესებულების მიერ საბჭოს წევრ(ებ)ის აცილება

√ არა

საბჭოს წევრ(ებ)ის თვითაცილება

√ დიახ

თვითაცილება განაცხადეს ელიზბარ ელიზბარაშილმა, ნინო იმნაძემ და დავით კაპანაძემ თვითაცილების საფუძველს წარმოადგენდა შრომითი ხელშეკრულების არსებობა დაწესებულებასთან.

საბჭოს თავმჯდომარემ საბჭოს წევრებს მიმართა დაედასტურებინათ, რომ იცნობდნენ უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების მიერ წარმოდგენილ თვითშეფასებას, აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნასა და საგანმანათლებლო პროგრამის ექსპერტთა დასკვნის პროექტზე დაწესებულების მიერ წარმოდგენილ არგუმენტირებულ პოზიციას. საბჭოს წევრებმა დაადასტურეს, რომ იცნობდნენ საქმის მასალებს.

საბჭოს თავმჯდომარემ ჰკითხა დაინტერესებული მხარის (საგანმანათლებლო დაწესებულების) წარმომადგენელს, იცნობდა თუ არა აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას.

წარმომადგენელ(ებ)მა დაადასტურა, რომ იცნობდ(ნენ)ა აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას.

მეოთხე საკითხის ზეპირი მოსმენა
ექსპერტების პოზიციის განხილვა
საბჭოს თავმჯდომარემ სთხოვა ექსპერტთა ჯგუფს წარმოედგინათ მათი პოზიცია.
ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარემ, ავთანდილ თავხელიძემ აღნიშნა, რომ იყო ორი რეკომენდაცია, რომლებიც შეეხებოდა შეფასების სისტემების შესაბამისობაში მოყვანას უნივერსიტეტის წესდებასთან. ექსპერტის განმარტებით, ინსტიტუციამ წარმოადგინა დოკუმენტები, რომლითაც ჩანდა, რომ აღნიშნული საკითხი გაიტანეს საბჭოზე და პროგრამაში შეტანილი იყო შესაბამისი ცვლილებები.
საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა დაწესებულების წარმომადგენლებს დაეფიქსირებინათ საკუთარი პოზიცია.
დაწესებულების წარმომადგენელმა, მადლობა გადაუხადა ექსპერტთა ჯგუფს გაწეული შრომისთვის და აღნიშნა, რომ აღნიშნული ხარვეზები გამოსწორდა.
საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა საბჭოს წევრებს წარმოედგინათ მოსაზრებები.
საბჭოს წევრი, გაიოზ ფარცხალაძე დაინტერესდა ბოლო პერიოდის განმავლობაში იყო თუ არა დაცული დისერტაციები და როგორი იყო მათი მდგომარეობა.
ექსპერტთა ჯგუფის თავმჯომარემ განაცხადა, რომ ახალი დისერტაციები დაცული არ იყო და არც დარგობრივი საბჭო შეკრებილა.
დაწესებულების წარმომადგენელმა, დავით მახვლაძემ განმარტა, რომ პრაქტიკულად იდენტიფიცირებული იყო ყველა ის პრობლემა, რომელიც სადისერატიო ნაშრომების ხარისხზე მიუთითებდა. უმრავლეს შემთხვევაში გამოკვეთილი იყო დამოკიდებულების პრობლემა. აღმოჩნდა ნაშრომები, სადაც გამოყენებული იყო ბიბლიოგრაფია თუმცა არ იყო გამოტანილი, ასევე იყო გაფორმების პრობლემა. დაწესებულების წარმომადგენლის თქმით რამდენიმე მნიშვნელოვანი გადაწყვეტილება მიიღო რექტორატმა და აკადემიურმა საბჭომ, სამეცნიერო ხელმძღვანელებისათვის შეიზღუდა დოქტორანტების რაოდენობა და განისაზღვრა 3, თუმცა გარადამავალ პერიოდში დაწესებულების წარმომადგენლის თქმით უწევთ ამ წესის დარღვევა, თუმცა მომდევნო სასწავლო წლიდან აღნიშნული აღარ იქნება პრობლემა. ასევე, კონკრეტული და მიზანმიმართული სამუშაო შეხვედრები მიმდინარეობს სამეცნიერო ხელმძღვნელებთან, როგორც ფორმალური, ასევე ყოველდღიურ დოქტორანტებთან მუშაობის სპეციფიკასთან დაკაავშირებით. ასევე განახლდა დებულება დეპარტამენტთან მიმართებაში. ასევე მიმდინარეობს რეორგანიზაცია სადისერატაციო საბჭოებთან მიმართებაში, როდესაც უბრუნდება უნივერსიტეტი საფაკულტეტო სადისერატაციო საბჭოების სისტემას, რაზეც საბოლოო გადაწყვეტილება არ არი მიღებული თუმცა პროექტი უკვე მზადაა.
სხდომაზე გამოცხადდა სათათბირო შესვენება
დაწყების დრო: 19:40
დასრულების დრო: 19:42

აკრედიტაციის საბჭოს მიერ საგანმანათლებლო პროგრამის შეფასება და კენჭისყრა:
აკრედიტაციის საბჭომ სრულად გაიზიარა ექსპერტთა დასკვნაში ასახული შეფასება.
საბჭოს თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა სსიპ - საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის „საინჟინრო ფიზიკის“ სადოქტორო პროგრამაზე წარმოდგენილი ანგარიშის ცნობად მიღების საკითხი.

კენჭისყრის შედეგი:
მომხრე - 11
წინააღმდეგი - 0

გადაწყვეტილება:

აკრედიტაციის დებულების 27^{6} მუხლის მე - 2 პუნქტისა და 2^{11} პუნქტის საფუძველზე სსიპ - საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის „საინჟინრო ფიზიკის“ სადოქტორო საგანმანათლებლო პროგრამაზე წარმოდგენილი ანგარიში მიღებულ იქნა ცნობად.

დღის წესრიგით განსაზღვრული ყველა საკითხის განხილვის შემდეგ საბჭოს სხდომა დახურულად გამოცხადდა 2021 წლის 02 ნოემბერს 19:43 საათზე.

საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის
საბჭო
თავმჯდომარე
ზედგინიძე-ჯიშკარიანი ნათია

საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის
საბჭო
საბჭოს მდივანი
შენგელია მარიამ